ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 94
(11 551)

30 ნოემბერი – 3 დეკემბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

## ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲔᲑᲘ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲘᲕᲐᲫᲔ

5



## ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲡᲘ



მიუნხენის „ბაიერნი"

6

## ქვეყნები. თასები



„ჰამბურგი — შტუტგარდტი

## ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ახალი შემადგენლობით ფედერაციის ხელმძღვანელობა, ქართული საკალათბურთო სამყაროსათვის დაუჯერებელი „ძველი სიახლეებით", სათავეში მოსვლიდან ათი სამუშაო კალენდარული დღის შემდეგ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში პირველად შეხვდა მასმედიის წარმომადგენლებს. პრესკონფერენციამდე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის I სხდომა გაიმართა.

ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, გენერალურმა მდივანმა პაატა გურასპაულმა, ვიცე-პრეზიდენტებმა დუდუ დადიანმა და მამუკა კაციტაძემ აღმასკომის თითქმის სრულ შემადგენლობას (საპატიო მიზეზით შეხვედრას არ ესწრებოდა ავთანდილ იოსელიანი, ხოლო გურამ მინაშვილი ე.წ. „ქორქიას ბანაკიდან", როგორც ჩანს ჯერჯერობით თავს იკავებს ლიპარტელიანის გუნდთან ურთიერთობისაგან) განახლებული ფედერაციის სტრუქტურა და მუშაობის გრაფიკის პროექტი შესთავაზეს. ალბათ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს პროექტი (ქართული ოპოზიციური რეალობის ფონზე) მშვიდ და სამუშაო ატმოსფეროში განიხილეს და რამდენიმე სათაო მუხლიც დაამტკიცეს. სამომავლო აღმასკომების განხილვის საგანი ქალთა კალათბურთის აღორძინება და მწვრთნელთა საბჭოს დაკომპლექტება გახდება.

პრესკონფერენციაზე, ბესიკ ლიპარტელიანმა მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობის ჩამოყალიბება უშუალოდ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხსაც დაუკავშირა. შეგახსენებთ, რომ 2001 წლის წარუმატებელი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, ქვეყნის ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები, 2 წლით გამოეთიშა საერთაშორისო სარბიელს, საქარ-

ИХ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲐᲒᲑᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ



2

## ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲖᲔ

7

## ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

5

## ᲜᲑᲐ



NBA

ნიუ ჯერსი — ჩიკაგო

3

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ:

## ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ 2002 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲘᲢᲘ

გუშინ, ინტერნეტში პირველად გამოჩნდა ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საიტი, სადაც ჩემპიონატის მოვლენები გაშუქდება. ხვალ ამ საიტზე პირდაპირ უჩვენებენ გუნდების წილისყრას. ფიფასთან შეთანხმებით საიტის შემქმნელია Yahoo! რომელიც გვპირდება, დაწვრილებით გააშუქებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროცესს. ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გამოთქვა იმედი, რომ ამ საიტით ფეხბურთის მოყვარულები დაინტერესდებიან მთელ პლანეტაზე. მასალები საიტზე ინგლისურ, იაპონურ, კორეულ, ესპანურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე განთავსდება. ახალი წლიდან მთელ რიგ სიახლეებს შესთავაზებენ ფეხბურთის მოყვარულებს.

საიტის მისამართია: http://fifaworldcup. yahoo.com

## ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 65 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!



ბატონო გურამ!

სულითა და გულით გილოცავ დაბადებიდან 65 წლისთავს. თქვენ კალათბურთელთა იმ თაობის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელიც ოქროს ასოებითაა შესული ქართული სპორტის ისტორიაში. 1957-63 წლებში თქვენ ღირსეულად იცავდით ეროვნული სპორტის პრესტიჟს საბჭოთა ნაკრებში გამოსვლისას საერთაშორისო სარბიელზე. ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელს, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, ევროპის სამგზის ჩემპიონს, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს, თქვენ არასოდეს გაგიწყვეტიათ კავშირი ქართულ კალათბურთთან, თავდადებით ემსახურებით ახალგაზრდა თაობის აღზრდას. თქვენს სპორტულ მიღწევებს და სამშობლოს სამსახურს გვირგვინად ადგას თქვენი ავტორიტეტი და მრავალ ადამიანური ღირსებებით გამორჩეული კაცის უმწიკვლო სახელი.

კვლავაც მრავალი ათეული წელი გედღაწოს!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

### ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ქართული კალათბურთის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული მრავალწლიანი ღვაწლისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპორტის დამსახურებული ოსტატი *გურამ მინაშვილი* დააჯილდოვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით.

### ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს *გურამ მინაშვილს.*



## ᲑᲣᲨᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

11 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ოლიმპიური მშვიდობა უნდა გამოეცხადებინა 8-24 თებერვალს ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ყველასგან მოულოდნელად, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უარყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოწოდება ავღანეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე. ბუშის განცხადება ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება გამოიტანა გუშინ, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტიდან სოკოა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიტ რომნიმ.

## ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ

ზურაბ აზმაიფარაშვილმა მოსკოვში მიმდინარე ვაჟ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის 1/32 ფინალში ყაიმით დაასრულა შეხვედრა ჩეხეთის წარმომადგენელ სერგეი მოვსესიანთან.

ИХ. ᲛᲔ-8 ᲒᲕ.




მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა




ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 70 დღე გააშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## სოლტ-ლეიკ-სიტი არასაფრენ ზონად გამოცხადდება

უსაფრთხოების ღონისძიებები, რომელსაც სოლტ-ლეიკ-სიტში გაატარებენ, უპრეცედენტო იქნება ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. ზამთრის მოახლოებული ოლიმპიადის ჩატარების ადგილი დაცული იქნება უსაფრთხო ზონით – 80 კმ-ის რადიუსში აიკრძალება ყოველგვარი ფრენა თვითმფრინავებისათვის. ამის თაობაზე თვით სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგიმ განაცხადა. მისივე თქმით, ყველანაირ საფრენ აპარატს, რომელიც აკრძალულ ზონაში გამოჩნდება, ჩამოაგდებენ. როგმა განაცხადა ისიც, რომ მიუხედავად ზომების გამკაცრებისა, ასპროცენტიანი გარანტია შეუძლებელია. სოლტ-ლეიკ-სიტში 10 ათას სპორტსმენს დაიცავს უშიშროების სამსახურის 15 ათასი თანამშრომელი. ამ მიზნით კი საერთო ჯამში 370 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

## ჯაზი და ოპერა ოლიმპიურ თამაშებზე

სოლტ-ლეიკ-სიტში ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სტუმრებისთვის ფართო მუსიკალური პროგრამა მოამზადეს. აქ თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ბილი ტეილორის ჯაზის ტრიო და აშშ-ში არანაკლებ ცნობილი ორკესტრი, აგრეთვე ადგილობრივი ოპერის ვარსკვლავები და სიმფონიური ორკესტრი.

## შეიქმნა 2006 წლის ოლიმპიადის ემბლემა

2006 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე ოთხი წლით ადრე, რომელიც ტურინში ჩატარდება, რომში წარადგინეს თამაშების ოფიციალური ემბლემა, რომელიც შექმნა მილანის დიზაინერთა ფირმამ ბენინკაზა – გუსმანმა. ცისფერი ლოგოტიპი წარმოადგენს „მოხრილი სამკუთხედის“ ფორმის ფუტურისტულ ფიგურას დიდი მრგვალი კვეთით, რომელიც ერთდროულად სტოვებს, როგორც ტურინის კათედრალური ტაძრის, ისე წაწვეტილი ალპინისტური მწვერვალისა და წახრილი ნაძვის ფონზე სათხილამურო ტრამპლინის შთაბეჭდილებას. ემბლემის ქვეშ წარწერაა: „ტურინო 2006“, ცოტა ქვემოთ კი ხუთი ოლიმპიური რგოლი.

ჟიურიმ საუკეთესო ემბლემა 1341 ნამუშევრიდან შეარჩია.

# ქართული რაგბის სითბო და სიამაყე

**სამოციანელები**

რაგბი ყველგან, ყველა ქვეყანაში ვაჟკაცობის სიმბოლოდ ქცეული სპორტია. იმთავითვე ქართველებმა სპორტის ამ სახეობას ქართული სული შთაბერეს და აიყვანეს რაინდობის უმაღლეს ხარისხში. პირველი თაობიდან მოყოლებული, ქართველ მორაგბეთა რიგებში აღიზარდა და დავაჟკაცდა არაერთი სახელოვანი ოსტატი, შემდგომში ბრწყინვალე მოქალაქეებად რომ იქცნენ. ერთ მათგანს მურიკო (მურად) თოფურიძეს, რომელსაც 1 დეკემბერს 60 წელი უსრულდება, „ლელო“ დღეს წარმოგიდგენთ.

ჯანიან ყმაწვილს ძალა და ენერგია მოჭარბებული ჰქონდა და სპორტთან მეგობრობა დაიწყო ჭიდაობით. ერთ დღეს ნაძალადევში „ბირჟაზე“ მასთან მივიდნენ მორაგბეები ვიტალი სისაური და გია წურწუმია. „შენნაირი ჯანიანი ბიჭებისთვის რაგბია ზედგამოჭრილი“, – უთხრეს და შეხვედრის ადგილი დაუთქვეს. ძმაკაცებმაც ურჩიეს რაგბზე სიარული.

იმ ხანებში თბილისში ქართველ ენთუზიასტებთან ერთად, საფრანგეთიდან ჩამოსული ჟაკ ასპეკიანი უყრიდა საფუძველს ქართულ რაგბს. წარმოშობით ასპეკიანი თბილისელი იყო და მეუღლეც ქართველი შეირთო – ზაირა გურამიშვილი. რაგბის პირველი ბურთიც ამ კაცმა ჩამოიტანა მარსელიდან, სადაც ის რაგბს თამაშობდა.

იმ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, სადაც 1959 წლიდან რაგბი დაინერგა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც იყო. სწორედ აქ, 1962 წელს დაიწყო ვარჯიში მურიკო თოფურიძემ. ახალბედამ თანაგუნდელთა სითბო იგრძნო, თავადაც ხალასი ბიჭი იყო და კოლექტივს მალე შეეთვისა. ერთი თვის თავზე მწვრთნელმა ჟაკ ასპეკიანმა მას №1 მაისური ჩააცვა და ამ ნომრით თამაშობდა ბოლომდე. გუნდი, რატომღაც, ერთ წელიწადში დაიშალა და მურიკო „განთიადში“ გადავიდა, სადაც გივი მრელაშვილი ედგა გუნდს სათავეში. სწორედ განთიადელებმა მიაღწიეს პირველ მნიშვნელოვან წარმატებას საკავშირო სარბიელზე. იმავე 1963 წელს, თბილისში იმართება პროფკავშირების პირველობა, სადაც „განთიადი“ ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. „ირაკლი კიზირია შემიჩნდა და 1964 წელს „დინამოში“ გადავედი, სპორტული კარიერის დამთავრებამდე იქ ვთამაშობდი“ – იგონებს მურიკო თოფურია. „დინამოში“ იგი ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. 10 წელზე მეტი ითამაშა ოსტატთა რაგბი. გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. „დინამოს“ საკავშირო პირველობის ხუთგზის გამარჯვებული, 1966 წელს საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა, მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში. მის სპორტულ ბიოგრაფიაში არის მისი მაღალი ოსტატობის დამადასტურებელი კიდევ რამდენიმე შტრიხი – 1971 წელს ქვეყნის დინამოელთა შორის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მონაწილეობდა სსრ კავშირის ყველა ჩემპიონატში. ორჯერ დასახელდა სსრ კავშირის 30 საუკეთესო მორაგბეთა შორის, 1964 წელს კი ლელობურთშიც გახდა საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი.

„მურიკო მოედანზე გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით და გამძლეობით, ორგანიზატორი იყო შეტევის ხაზში, ახასიათებდა ფიცხი, ჟინიანი, კარგი გაგებით, დაუნდობელი თამაში“. – ასე ახასიათებდნენ მას ყოფილი თანაგუნდელები. სამწუხაროდ, მაშინ არ არსებობდა საბჭოთა ნაკრები, თორემ მურიკო თოფურიძე და მისი თანამედროვენი უდავოდ დაიკავებდნენ იქ ღირსეულ ადგილს.



*მურიკო თოფურიძე (მარჯვნივ) და ვიტალი სისაური*

ქართული რაგბის საერთაშორისო ნათლობის თარიღად 1967 წელი ითვლება, როცა თბილისის „ლოკომოტივს“ სტუმრად ეწვია საფრანგეთის პროფკავშირული ნაკრები, სიძლიერით ამ ქვეყნის მეორე გუნდი და „ხუთი ერის თასის“ მფლობელი. მატჩი ჩატარდა გურჯაანში. რკინიგზელთა გასაძლიერებლად, გუნდში „დინამოდან“ შეიყვანეს მურიკო თოფურიძე და გენადი ლადუა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ქართველთაგან პირველი ლელო თენგიზ რუხაძემ გაიტანა, გარდასახვა და ერთი ჯარიმა გელა მიქაბერიძემ შეასრულა. საბოლოოდ, მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგეს ფრანგებმა 28:8. ორი დღის შემდეგ კი ვაკის სტადიონზე გაიმართა განმეორებითი შეხვედრა. ამჯერად მასპინძლები 12:19 დამარცხდნენ. ფრანგთა მწვრთნელს მაშინ უთქვამს: „№1 მორაგბე (მურიკო თოფურიძე) ჩვენს ნაკრებს დაამშვენებდაო“.

სპორტში გამოსვლები ერთია, სულ სხვაა შემდგომში ვინ რჩება ამ ფენომენის ერთგული ბოლომდე, როცა არჩეული პროფესია ყოფილ სპორტსმენებს ერთმანეთს აშორებს. ქართველ მორაგბეთა თემი სამუდამოდ ერთად დარჩა. მურად თოფურიძეს ჰქონდა იმის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, სურვილი მუდამ გაემართა ხელი მორაგბეთა თაობებისთვის. დიდხანს იყო ლოკომოტიველთა სპონსორი, ეხმარებოდა საქართველოს ნაკრებს, მისი თაოსნობით ქუთაისს ეწვია ზიმბაბვეს ნაკრები. შეძლო გუნდები მიევლინებინა ინგლისში, ჩეხეთში, საფრანგეთში. იტალიაში კი ჩვენებმა ტურნე და თასი მოიგეს, მორაგბეებს ხშირად იგონებენ ერთ საზღვარგარეთულ სტუმრობას, როცა სტერბინის უნივერსიტეტის რექტორმა დროის დეფიციტის გამო, მხოლოდ ხუთი წუთით მოისურვა შეხვედრა ქართველ მორაგბეებთან. დელეგაციის ხელმძღვანელის მურიკო თოფურიძით მოხიბლულმა რექტორმა მთელი დღე გაატარა ჩვენს ბიჭებთან, პურობაზე კი, როცა რექტორს მურიკომ ოჯახი უდღეგრძელა, ატაცებულ მასპინძელს უთქვამს „ამას კი ნამდვილად არ მოველოდიო“.

მურიკო თოფურიძე დიდხანს იყო საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი, ამჟამად კი ვეტერან მორაგბეთა კავშირის აქტიური წევრია. მისი ვაჟიც რაგბს გაჰყვა და მამის მსგავსად №1 მაისურით თამაშობს.

დღეს ქართულ რაგბს მთელი მსოფლიო იცნობს, რაც მურიკო თოფურიძის და მისი თაობის მორაგბეთა დამსახურებაა – ტრადიციებს ისინი უყრიდნენ საფუძველს.

რაგბი ჩვენში სიყვარულმა დაამკვიდრა. ამ სიყვარულით იზრდება მორაგბეთა ახალ-ახალი თაობები. ამ სიყვარულს ჰყავდა და ჰყავს თავისი ერთ-ერთი ღირსეული შემოქმედი – მურად თოფურიძე.

**გურამ დარჩია,**
**ვეტერანი მორაგბე,**
**სპორტის ოსტატი.**

## მილოცვა

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს წარსულში ცნობილ მორაგბეს და ქართველ მორაგბეთა თემის საამაყო წარმომადგენელს, ბრწყინვალე პიროვნებას ***მურიკო თოფურიძეს.***

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

დაასახელეთ ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი

„მაგთი GSM“
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. „ოპერისა და ბალეტის“ სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიას „რაინდები“.
ორგანიზატორები:
„საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია“,
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. „ვერიტა“.
საინფორმაციო მხარდამჭერი:
ლელო სარბიელი ოლიმპი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.

## ანკეტა

გამოუკვლევნელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
| --- | --- |
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი:

გვარი
სახელი
ასაკი

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
ფაქსი: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com

ანკეტა გამოაგზავნეთ „ლელოს“ რედაქციაში, ან თქვენი ვარიანტი შეგვატყობინეთ ტელეფონით 99-56-14. ისარგებლეთ აგ ეთვე მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართით.

## ლელო მატიანე 50 წლის წინათ

***გორი.*** აქ გაიმართა დაუსწრებელი საკავშირო შეჯიბრება საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა მონაწილეობით. ნინო დუმბაძემ ბადრო სტყორცნა 53 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე, რაც აჭარბებდა მსოფლიო და საკავშირო რეკორდს. საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 5.000 მეტრზე რბენაში ი. უშაკოვმა – 15:29,8.

***მახარაძე.*** სოფ. ნატანების ბერიას სახელობისა და თხინვალის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობებში მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის ბილიკები და სექტორები.

***სოხუმი.*** ქართულ ჭიდაობაში აფხაზეთის პირველობა მოიგეს სოხუმის ფალავნებმა. გაგრის გუნდმა დააგვიანა ჩასვლა და ასპარეზობაზე არ დაუშვეს. „შეჯიბრებამ გამოავლინა ტყვარჩელის გუნდში სუსტი პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა“.

***ქუთაისი.*** მუხნარის აგარაკზე ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება ველოკროსში. ვაჟთა 22-კილომეტრიანი ტრასა პირველებმა დაფარეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, მეორე იყო ზუგდიდელთა გუნდი. ქალთა შორის (9 კმ) კვლავ აფხაზელებმა იყოჩაღეს, მეორე ადგილი წილად ხვდა აჭარლებს.

***თბილისი.*** გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ ა. ფალავანდიშვილის რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოსცა ვიქტორ გოგლიძის წიგნი „რჩეული პარტიები“. წიგნში შევიდა ამ მოჭადრაკის 38 ცნობილი პარტია, რომელიც მან უთამაშია 1926-1941 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთის ფედერაციის საქმიანობა გამჭვირვალე იქნება

*(პირველი გვერდიდან)*

თველოს პირველი საკალათბურთო გუნდი კი მთავარი მწვრთნელის გარეშეც დარჩა.

ბესიკ ლიპარტელიანის განცხადებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა შესაძლოა 2-3 თვის შემდეგაც გახდეს ცნობილი. ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს ამ ამპლუაში, პირველად, ქართულ კალათბურთს, უცხოელი სპეციალისტიც კი მოევლინოს.

რაც შეეხება ერთ „ძველ სიახლეს", საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში არავინ და არაფერია დავიწყებული – ახალი ხელმძღვანელობა შეეცდება, კალათბურთის ყველა ვეტერანზე იზრუნოს. „მიუხედავად იმისა, რომ ასაკი ჯერ კიდევ არ გვიწყობს ხელს, ჩვენც ვეტერანები ვართ", – განაცხადა პაატა გურასპაულმა. „ახალგაზრდა ვეტერანებმა" კი ქართული კალათბურთის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო „ვეტერანს", გურამ მინაშვილს დაბადებიდან 65 წლის იუბილე მასმედიის საშუალებით მიულოცეს. რაც შეეხება თბილისის „დინამოს" მიერ 1962 წელს ჩემპიონთა თასის მოპოვების 40 წლისთავის იუბილეს, რომელიც 2002 წელს აღინიშნება (უხუცესი ნოდარ ჯორჯიკიას მოკრძალებული შენიშვნის მიუხედავად – იუბილეები 50-ის ზევით აღინიშნებაო) ფედერაცია „დინამოსთან" ურთიერთკავშირში, მზად არის საზეიმოდ აღნიშნოს, შესაძლოა, ეს საიუბილეო თარიღი იმ საკალათბურთო კლუბშიც კი აღინიშნოს, რომელიც სულ მალე თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაიდებს ბინას.

სხვათა შორის, აღმასკომის პირველ სხდომაზე, ახალმა „ხელისუფლებამ" საკმაოდ გაბედული განაცხადი გააკეთა ე.წ. „ამნისტიაცისთან" დაკავშირებით. კალათბურთის ფედერაციის ახალი თავკაცები მსაჯთა და დისციპლინარულ კომისიებთან ერთად, თითოეულ გუნდს, „დასჯილ" კალათბურთელებს შეხვდება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, ჩემპიონატის განახლებამდე ოფიციალურად ძალაში შევიდეს ეს კეთილშობილური ჟესტი თუ არა. და, კიდევ ერთი, ამ ამნისტიის შემდეგ უკვე ყველა დამნაშავე, განურჩევლად დამსახურებისა, უმკაცრესად დაისჯება.

ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი კი სავარაუდოდ 2002 წლის 15-20 იანვრისათვის განახლდება. ხანგრძლივი შესვენება, ვერის ბაღში მდებარე მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებმაც გამოიწვია.

საკალათბურთო სასახლეში ორშაბათიდან უკვე დაიწყო გათბობის სისტემის აღდგენითი სამუშაოები. მომდევნო ნაბიჯი ელექტროენერგიის მოგვარება იქნება. ამით თამაშებიც სათანადო პირობებში ჩატარდება და კალათბურთის გაშუქების მოსურნე ტელე და ფოტო ოპერატორებს „ჩაბნელებული კადრის" პრობლემაც მოეხსნებათ.

ერთადერთი საკითხი, რომელიც ამ დარბაზის ირგვლივ ნისლით მოცული რჩება, განკარგვის საკითხია. საქმე ისაა, რომ დღემდე ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლე თბილისის მერიის მფლობელობაშია. ე.წ. ორხელისუფლებიანობის ფონზე, ხშირად საკალათბურთო ჩემპიონატი გაუგებრობების (ვინ გაათბობს დარბაზს, ვინ გადაიხდის შუქის დავალიანებას) მსხვერპლიც გამხდარა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ადრეც და მომავალშიც არ დააკლებს მზრუნველობას ყველაზე აქტიურად მოქმედ საკალათბურთო არენას, თუმცა ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გაირკვეს. ამავე აზრს იზიარებს დედაქალაქის მერიის რიგი წარმომადგენლებიც. რაც შეეხება დღევანდელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მათი წარმოება, ამჯერადაც ორივე „პატრონმა" ითავა.

აი ასეთი იყო ახალი ფედერაციის პირველი „გამჭვირვალე" სამუშაო კვირა. ასეთ რეჟიმში, მომავალ არჩევნებამდე აპირებს ყველასთან თანამშრომლობას ჭავჭავაძის 49-აში სამ ოთახში განთავსებული ფედერაციის ყველა სამსახური,

**თამუნა ჯიშკარიანი**

# „ფოთის ღია პირველობა თბილისში"



ამ დღეებში თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში ცხენოსანთა წლის ბოლო ასპარეზობა გაიმართა — გუნდური პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს თასზე. პირველ დღეს, ახალგაზრდათა ცხენებით ასპარეზობაში, მოხდა ისე, რომ დაბრკოლებათა ზოლი ბოლომდე ვერავინ დაძლია და პრიზი არ გათამაშებულა. უფროსი ასაკის ცხენებით კარგად გამოვიდნენ ფოთელი გოგიტა კოდუა და თბილისელი ირაკლი ნარმანია (შპს „ქართული ცხენი"), გრან-პრი წილად ხვდა კოდუას, რომელმაც დამატებით გიტში 2 წამით აჯობა ნარმანიას.

გუნდური პირველობა მოიგეს ფოთელმა მხედრებმა (გოგიტა კოდუა, რუსლან კვარაცხელია, თორნიკე კოდუა, ირაკლი ჭანტურია), მეორე ადგილი წილად ხვდა შპს „ქართულ ცხენს" (ირაკლი ნარმანია, გოჩა ჯალაღონია), მესამე — განათლების სპორტსკოლას (ირაკლი კუჭავა, ირაკლი მარკოზაშვილი, გიორგი ინასარიძე).

საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადაეცა ფოთელთა მწვრთნელს ვალერიან მაქაცარიას. ფოთელთა უპირატესობა აშკარა იყო ყველა პროგრამაში. ვეტერანი მხედრები ხუმრობდნენ კიდეც, რომ „ეს იყო ფოთის ღია პირველობა თბილისში".

**თორნიკე გაჩეჩილაძე**


# გამოიწერეთ გაზეთი

სააქციო საზოგადოება „მაცნე" გთავაზობთ ქართული, რუსული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების გამოწერას. თქვენს მიერ გამოწერილი გამოცემები მოგეწოდებათ ქ. თბილისის ნებისმიერ მისამართზე. დატარება ხორციელდება უფასოდ.

ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების, წიგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების „მაცნეს" კატალოგი შეგიძლიათ მიიღოთ სს „მაცნეს" პრესის გავრცელების ჯიხურებში და ქვემოთ მითითებულ მისამართებზე უფასოდ.

ხელმოწერის გაფორმება შეიძლება „მაცნეს" ხელმოწერის პუნქტებში, შემდეგ მისამართებზე:

– ცენტრალური ოფისი
კ. გამსახურდიას გამზ. 42 — ტ. 37-47-49
– კ. გამსახურდიას გამზ. 39 — ტ. 25-33-88
– რუსთაველის პრ. 31 (ცენტრ. ტელეგრაფის შენობა) — ტ. 98-57-22
– ი. ჭავჭავაძის გამზ. 46 — ტ. 22-64-58
– რ. თაბუკაშვილის ქ № 12 — ტ. 93-12-94
– აკ. წერეთლის გამზ. 73 — ტ. 34-75-51
– ი. ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.14 — ტ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61 — ტ. 74-14-47 — ტ. 71-32-87
– დ. გურამიშვილის გამზ 30 — ტ. 60-80-22

ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ყოველდღიურად (გარდა შაბათისა) 12.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე შემდეგ ტელეფონებზე: 25-33-88.

დაზოგეთ დრო, გამოიწერეთ და თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

მაცნე


# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ნბა

**27 ნოემბერი**

**კლივლენდი – ვაშინგტონი 94:75**

***კლივლენდი:*** დევისი (18), ჯონსი (15), მიურეი (14+10 მოხსნა), მილერი (14+9 გადაცემა).

***ვაშინგტონი:*** ჯორდანი (18), ჰემილტონი (13), ლაეპნერი (10).

**მაიამი – ბოსტონი 85:84**

***მაიამი:*** ჯონსი (27), გეტლინგი (13), ელისი (11), მოურნინგი (8+11 მოხსნა).

***ბოსტონი:*** პირსი (33), უოკერი (28).

**ნიუ ჯერსი – ჩიკაგო 100:68**

***ნიუ ჯერსი:*** ვან ჰორნი (19+10 მოხსნა), მაკალოჩი (18+13 მოხსნა), კიდი (12+8 გადაცემა).

***ჩიკაგო:*** მილერი (13), ფიზერი (13).

**ჰიუსტონი – საკრამენტო 84:89**

***ჰიუსტონი:*** ტორესი (20), ნორისი (19), ტომასი (18+19 მოხსნა), რაისი (10).

***საკრამენტო:*** სტოიაკოვიჩი (24), ბიბი (18), კრისტი (14).

**დალასი – გოლდენ სტეიტი 116:106**

***დალასი:*** ფინლი (39), ნოვიცკი (33), ნეში (12+9 გადაცემა+7 მოხსნა), გრიფინი (12).

***გოლდ. სტეიტი:*** ჯეიმისონი (32), ფორტსონი (24+17 მოხსნა), დამპე (13).

**პორტლენდი – ინდიანა 96:90**

***პორტლენდი:*** უოლესი (26), პატერსონი(22), კერი (13).

***ინდიანა:*** მილერი (24), ო'ნილი (17+10 მოხსნა), როუზი (16).

**სიეტლი – მინესოტა 112:102**

***სიეტლი:*** ბარი (31+10 გადაცემა), ბეიკერი (24+9 მოხსნა), პეიტონი (20+13 გადაცემა).

***მინესოტა:*** გარნეტი (22), ბრენდონი (19+12 გადაცემა), შერბიაკი (16+11 მოხსნა).

**ლეიკერსი – მილუოკი 104:85**

***ლეიკერსი:*** ბრაიანტი (33), ო'ნილი (19+9 მოხსნა), ორი (13).

***მილუოკი:*** კესელი (23), ტომასი (17), ალენი (13), რობინსონი (12), მეისონი (7+11 მოხსნა).

**28 ნოემბერი**

ატლანტა — ნიუ იორკი 100:105
დეტროიტი — შარლოტი 96:104
ფილადელფია — ვაშინგტონი 87:94
სან ანტონიო — გოლდენ სტეიტი 94:83
დენვერი — ინდიანა 85:99
ფინიქსი — მილუოკი 104:84
იუტა — სიეტლი 112:88
კლიპერსი — მინესოტა 94:75




### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 10 | 5 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 8 | 8 | 50,0 |
| ფილადელფია | 7 | 7 | 50,0 |
| ბოსტონი | 6 | 6 | 50,0 |
| ორლანდო | 7 | 8 | 46,7 |
| ვაშინგტონი | 4 | 10 | 28,6 |
| მაიამი | 2 | 11 | 15,4 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 9 | 3 | 75,0 |
| დეტროიტი | 9 | 5 | 64,3 |
| ტორონტო | 9 | 6 | 60,0 |
| ინდიანა | 9 | 9 | 50,0 |
| შარლოტი | 7 | 7 | 50,0 |
| კლივლენდი | 5 | 10 | 33,3 |
| ატლანტა | 5 | 11 | 31,3 |
| ჩიკაგო | 1 | 12 | 7,7 |




### დასავლეთის კონფერენცია

**შუა დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 10 | 3 | 76,9 |
| მინესოტა | 10 | 4 | 71,4 |
| დალასი | 10 | 5 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 7 | 8 | 46,7 |
| დენვერი | 6 | 9 | 40,0 |
| იუტა | 6 | 9 | 40,0 |
| მემფისი | 2 | 11 | 15,4 |

**პასიფიკის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 13 | 1 | 92,9 |
| საკრამენტო | 11 | 4 | 73,3 |
| ფინიქსი | 9 | 7 | 56,3 |
| პორტლენდი | 8 | 7 | 53,3 |
| სიეტლი | 8 | 9 | 47,1 |
| კლიპერსი | 7 | 8 | 46,7 |
| გოლ.სტეიტი | 7 | 9 | 43,8 |

## კალათბურთი • ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (III ტური)

**A ჯგუფი**

ლიტვა — შვეიცარია 93:47
ბულგარეთი — ჰოლანდია 91:80
თურქეთი — უკრაინა 80:67

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 293:207 | 6 |
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 234:199 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 1 | 220:210 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 257:269 | 4 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 3 | 221:270 | 3 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 3 | 162:232 | 3 |

**B ჯგუფი**

საბერძნეთი — დანია 103:63
ესპანეთი — ისრაელი 88:74
რუმინეთი — ბელგია 74:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 283-172 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 274-192 | 6 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 238-235 | 5 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 2 | 186-251 | 4 |
| ბელგია | 3 | 0 | 3 | 187-237 | 3 |
| დანია | 3 | 0 | 3 | 207-288 | 3 |

**C ჯგუფი**

გერმანია — ბოსნია 76:84
ირლანდია — მაკედონია 75:68
ხორვატია — კვიპროსი 90:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 259-209 | 6 |
| ბოსნია | 3 | 2 | 1 | 268-230 | 5 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 251-224 | 5 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 228-231 | 4 |
| მაკედონია | 3 | 1 | 2 | 241-258 | 4 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 3 | 177-272 | 3 |

**D ჯგუფი**

ესტონეთი — საფრანგეთი 63:59
ლატვია — ბელარუსი 115-91
უნგრეთი — პოლონეთი 101:86

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 225-197 | 5 |
| ესტონეთი | 3 | 2 | 1 | 252:225 | 5 |
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 292-270 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 288-287 | 5 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 261-263 | 4 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 3 | 208-284 | 3 |

**E ჯგუფი**

რუსეთი — სლოვენია 88:63
ჩეხეთი — ინგლისი 74:87
იტალია — პორტუგალია 89:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 287-218 | 6 |
| იტალია | 3 | 3 | 0 | 269-203 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 223-243 | 5 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 210-226 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 207-256 | 3 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 227-277 | 3 |

# ენგე რუსეთში?

ტომაშ ენგე, რომლის დებიუტი „ფორმულა 1"-ში შარშან შედგა, ამ ცოტა ხნის წინათ გაკოტრებულ „პროსტიდან" წავიდა და ახალი გუნდის ძიებაში აღმოჩნდა... რუსეთში. მის ბოლიდზე უკვე გაჩნდა წარწერა „როსია".

ჩეხმა პილოტმა ტესტ-სერია უკვე გაიარა „არდენ როსიაში", რომელიც „ფორმულა-300"-ში ასპარეზობს და დღის მეორე შედეგი აჩვენა. რუსული „საჯინიბო" არ მალავს თავის განზრახვას დაიყოლიოს ტომაში, რათა მან რუსეთთან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.




# ამერიკიდან საფრანგეთში გადაიტანეს



ვაჟთა სლალომ გიგანტში მსოფლიოს თასის ეტაპი, რომელიც კოლორადოში უნდა ჩატარებულიყო, უჩვეულოდ თბილი ამინდის გამო, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ვალ-დ'იზერში გადაიტანეს 5 დეკემბრისთვის.

# გამოიგონეს კომპიუტერი, რომლითაც მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაში შეიძლება

ინგლისის ბერმინგემის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, რომლებმაც სატარებელი კომპიუტერების შექმნით გაითქვეს სახელი, ახლა იკვლევენ სპორტში მეცადინეობისას ადამიანთა ჯანმრთელობის „მეთვალყურე" კომპიუტერის შექმნის შესაძლებლობას.

სატარებელი კომპიუტერი სპორტსმენის, ვთქვათ, ფეხბურთელის მაისურში ჩამონტაჟდება. გარდა იმისა, რომ კომპიუტერი დააფიქსირებს წნევას, ტემპერატურას და ა.შ. მისი მეშვეობით მწვრთნელები დასკვნებს გამოიტანენ თუ როგორი იყო თითოეული ფეხბურთელის შრომისუნარიანობა მინდორზე და რამდენად შეასრულა მოთამაშემ დავალება.

სპეციალისტები ახლა თავს იმაზე იმტვრევენ თუ როგორ დაიცვან კომპიუტერი რეცხვის დროს დაზიანებისგან. ფეხბურთელთა მაისური ხომ ერთჯერადი არ არის. პროექტის სრულყოფაზე უკვე ერთობლივად მუშაობენ ინგლისელი, გერმანელი, იტალიელი, ავსტრიელი, ჰოლანდიელი და ბერძენი სპეციალისტები.



## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## უმაღლესი ლიგა XVIII ტური

„სინათლის“ სტადიონი 29 ნოემბერი.

**«მერანი» – «დინამო» 1–0**

**მერანი:** ნაჭყებია, ცქიფურიშვილი, კვეკვესკირი, დევიძე (თ. ჩხაიძე 60). გ. ილურიძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე, კოშკაძე, გაგუა, ჭინჭარაული, ბოლქვაძე.

**დინამო:** ზოიძე, სვანაძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული (მიკუჩაძე 75), იაგორაშვილი (გ. მიქაძე 65), ზირაქიშვილი (ბობოხიძე 61), მანწკავა.

*გოლი:* 1-0 ბოლქვაძე (90).
*გააფრთხილეს:* მანწკავა, ჭინჭარაული.
*გააძევეს:* ცქიფურიშვილი, ბობოხიძე.
*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი).

# ფეხბურთი გაზაფხულამდე დაგვემშვიდობა

საკმაოდ სწრაფად დაიწყო თამაში. თავიდან „დინამო“ აქტიურობდა და ნაჭყებიას რომ არ ემარჯვა, ვაშაკიძე სტუმრებს დააწინაურებდა კიდეც, მაგრამ თავდამსხმელის ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთი მეკარემ ნახტომში მოიგერია. მერე ამისულაშვილის დარტყმული აიღო მასპინძელთა გოლკიპერმა, ამას ზირაქიშვილის თავური მოჰყვა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა კარს. თამაში თანდათან გათანაბრდა. „დინამოს“ ტერიტორიული უპირატესობა ისე თვალშისაცემი აღარ იყო, როგორც დასაწყისში, „მერანმაც“ შეუტია მეტოქეს, თუმცა საგოლე მომენტი ვერ შექმნა, ყველა ჩაწოდებული ბურთი ზოიძის ლუკმა ხდებოდა და პირველი ტაიმიც უგოლოდ დასრულდა. მეორე ნახევარში განხორციელებულმა შეცვლებმა სტუმართა თამაშში სიმწვავე ვერ შეიტანა, ბოლოს კი მასპინძლებს ალალად გაუმართლათ. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, თითქოს ფრე ლოგიკური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავჭალელები ასე არ ფიქრობდნენ. გოლამდე მატჩი კინაღამ ჩაიშალა, ცქიფურიშვილმა და ბობოხიძემ ბურთი ვერ „გაიყვეს“, შეპასუხება გაწევ-გამოწევაში და გუნდური საქმის გარჩევაში გადაიზარდა, თუმცა მთავარი არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი, თანამსაჯებთან ერთად, ვითარებაში დროულად გაერკვა, ორივე ფეხბურთელი სამართლიანად გააძევა მინდვრიდან და სიტუაციაც განმუხტა. თამაში გაგრძელდა, მაგრამ შესამჩნევად დაიძაბა. მსაჯის მიერ წარმატებულ წუთებში კი გოლიც გავიდა და გამარჯვებულიც გაირკვა. გაგუას წამოწყებული კომბინაცია ბოლქვაძემ დააგვირგვინა. ზოიძესგან უხეიროდ მოგერიებული ბურთი „მერანის“ თავდამსხმელს მიუგორდა, მანაც ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში.

„მერანმა“ ზედიზედ მეორე დერბი მოიგო, „ვიტ ჯორჯიას“ „დინამოც“ ზედ მიაყოლა და სეზონი ჩინებულ ხასიათზე დაასრულა. რატომაც არა, გუნდი, რომელსაც ჩემპიონატის მსვლელობისას ჩავარდნაც ჰქონდა, გავიხსენოთ, თუნდაც გუშინდელ მეტოქესთან წაგებული პირველი წრის მატჩი 0-6, ახლა მყარად დამკვიდრდა მესამე ადგილზე და მარტამდე, ჩემპიონატის განახლებამდე, მშვიდად შეუძლია შემადგენლობისა და თამაშის გაძლიერებაზე იფიქროს. თბილისის „დინამო“, წლეულს, ანტირეკორდების დამყარებას გადაყვა, ამას დაუმატეთ კლუბში ხელისუფლების ცვლა, რაც თამაშზე აისახა, შედეგიც არასტაბილურია. ათგზის ჩემპიონს მდევრად თანაქალაქელი „ვიტ ჯორჯია“ მოევლინა, რომელმაც ბოლო ტურში გასვლაზე „სამგურალი“ დაამარცხა და „დინამოსთან“ ერთქულიანი ზღვარი აშორებს.

ზეექვსეულის სხვა ბინადრებიდან გაიმარჯვეს „ტორპედომ“ და „კოლხეთმა“. ფოთში პრინციპული მატჩი შედგა. კოლხებმა ერთი გოლით, წლეულს ყველაზე უხერხულ მეტოქეს ბათუმის „დინამოს“ სძლიეს და მათ შორისაც სხვაობა ერთი ქულაა. ჩემპიონმა შინ, ქუთაისში უპრობლემოდ მოუგო მეზობელ ზესტაფონელებს. გუშინდელი მატჩებიდან კიდევ ერთი შეხვედრა იყო საყურადღებო. აუტსაიდერთა ჭიდილი ლანჩხუთში მასპინძლებმა მოიგეს. „გურია“ მეცხრეზეა, რამაც ლიგიდან გასავარდნ ზონას გუნდი მოაცილა. ტური და მასთან ერთად წლევანდელი სეზონი, ვაკეში, რკინიგზელთა სტადიონზე „ლოკომოტივ“ – „სიონის“ მატჩით დასრულდება.

## უმაღლესი ლიგა, XVIII ტური

*29 ნოემბერი*
გურია – გორდა 2-1
კოლხეთი1913 – დინამო (ბთ) 1-0
ტორპედო – მეტალურგი 4-0
სამგურალი – ვიტ ჯორჯია 1-2
მერანი – დინამო (თბ) 1-0

*დღეს*
ლოკომოტივი – სიონი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 44-11 | 44 |
| ლოკომოტ. | 17 | 12 | 3 | 2 | 32-8 | 39 |
| მერანი | 18 | 10 | 2 | 6 | 32-24 | 32 |
| დინამო (ბთ) | 18 | 9 | 4 | 5 | 24-15 | 31 |
| კოლხ.1913 | 18 | 9 | 3 | 6 | 28-26 | 30 |
| დინამო (თბ) | 18 | 8 | 4 | 6 | 29-18 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 6 | 5 | 27-23 | 27 |
| სიონი | 17 | 5 | 4 | 8 | 14-23 | 19 |
| გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 14-30 | 15 |
| მეტალურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 10-34 | 12 |
| გორდა | 18 | 2 | 4 | 12 | 15-35 | 10 |
| სამგურალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14-36 | 10 |

## პირველი ლიგა, XVIII ტური

*გუშინ*
ცხინვალი – ქობულეთი 2-1
თსუ – ლოკომოტივი3 1-3

*დღეს*
თორი – დინამო2
მერანი2 – კოხეთი (ხ)
დილა – ლოკომოტივი (სამტრედია)
ლაზიკა – მილანი



| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 17 | 12 | 2 | 3 | 37-9 | 38 |
| თსუ | 17 | 11 | 2 | 4 | 30-12 | 35 |
| მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 39-15 | 34 |
| ქობულეთი | 18 | 10 | 4 | 4 | 23-14 | 34 |
| ცხინვალი | 18 | 10 | 2 | 6 | 38-24 | 32 |
| ლოკომოტ.3 | 18 | 8 | 6 | 4 | 30-18 | 30 |
| დინამო2 (თბ) | 17 | 7 | 1 | 9 | 14-18 | 22 |
| ლაზიკა | 17 | 6 | 4 | 7 | 20-28 | 22 |
| მერანი2 | 17 | 4 | 1 | 12 | 12-34 | 13 |
| ლოკ.(სამტრ) | 17 | 3 | 4 | 10 | 13-27 | 13 |
| კოლხეთი (ხ) | 17 | 2 | 7 | 8 | 14-29 | 13 |
| თორი | 17 | 1 | 1 | 15 | 12-54 | 4 |

სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

# • ცხადაძე ბოდიშს იხდის • „მილანი“ შინ ვერ ითამაშებს • ვიტელები კლუბმაც დასაჯა და კოლეგიამაც

სათაურში გამოტანილი საკითხები უმთავრესი იყო გუშინწინ, გამართულ სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე. „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის კახა ცხადაძის „ემოციებზე“ საუბარი წინა სხდომაზე უნდა გამართულიყო, მაგრამ კოლეგიამ იგი გადადო, რათა მწვრთნელს თავად ელაპარაკა მომხდარის შესახებ და მსჯელობა მისი აზრის გათვალისწინებით გაგრძელებულიყო. ცხადაძემ გულწრფელად მოიხადა ბოდიში – „ვიტ ჯორჯიასთან“ – „მატჩი ბოლო წუთი იყო. მე მხოლოდ ის მსურს, რომ ნორმალურ პირობებში ვიმუშაო, მცხეთაში წაგებას არ ვიმსახურებდით, პენალტი ნამდვილად იყო, არ უარვყოფ, მაგრამ ეს ეპიზოდი ჩემი ემოციების გამოხატვის კატალიზატორი გახდა მხოლოდ, მეკარემ იყოჩაღა, რითაც სამართლიანობა აღდგა. პირადად არავინ მიგინებია, თუმცა ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდა, ფეხბურთიდან საერთოდ წავალ, პირობას ვდებ ასეთი უსიამოვნო ინციდენტი აღარ განმეორდება“. რკინიგზელთა მწვრთნელის აღსარებამ კოლეგიის წევრებზეც იმოქმედა, სასჯელი კი სამი თამაშით დისკვალიფიკაციით და 150 ლარი ჯარიმით განისაზღვრა. წლეულს ბოლო ტურის მატჩში კახა სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება, რადგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაციამან წინა ტურებისა და სათასო მატჩებისას წინასწარ მოიხადა.



კახა ცხადაძე

წნორელთა საკითხის განხილვა კოლეგიისთვის თითქმის ქრონიკულ ამბად იქცა. ახლაც, „გურიასთან“ მერვედფინალის სათასო განმეორებით შეხვედრასაც არ ჩაუვლია გაუგებრობის გარეშე. შეხვედრა ფრედ დასრულდა და შემდეგ ეტაპზე „გურია“ გავიდა. ადგილობრივი „მილანის“ პრეზიდენტი ავთანდილ მანგოშვილი თანმხლებ პირებთან ერთად, მატჩის შემდეგ სამსაჯო ოთახში შევიდა მტყუან-მართლის გასარკვევად, არბიტრებს გვარიანად აგინეს, უცხო პირთაგან ერთ-ერთმა მსაჯ ანიაშვილს გაარტყა კიდეც. ასეთი ფაქტები „მილანის“ სტადიონზე პირველად არ ხდება, სამწუხაროდ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ქალბატონ მარიამ ფირცხალაიშვილს მუდამ თავის მართლება უწევს ამჯერადაც არაფერი შეცვლ..ლა, მსაჯების განმარტების მოსმენის და ფაქტების შეჯერების შემდეგ დადგინდა: „მილანი“ შინ ორ მატჩს ვერ ითამაშებს, გადატანილი ლიდერთა მატჩი ნეიტრალურ მინდორზე ჩატარდება, ამასთან, სტადიონი პირობითად სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული. აღშფოთებას იწვევს ადგილობრივ პოლიცილთა უმოქმედობაც, რაც სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია. კლუბი კი 200 ლარს ჯარიმას გადაიხდის.

თბილისის "დინამოსთან" ჩინებულად ჩატარებული მატჩის შემდეგ, „ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო ტურში „მერანს“ უმასპინძლა, მაგრამ ამჯერად თავად შერცხვა გულშემატკივრების წინაშე, რაც უპირველესად კლუბის ფეხბურთელთა უზრდელობამ განაპირობა, გუნდის სამივე წევრი სამართლიანად გააძევა მინდვრიდან მთავარმა არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა (დავით დოლიძე უკვე გამოცვლილი იყო, როცა მსაჯების გინება დაიწყო, მისი პირადი ბარათი შეხვედრის დელეგატმა თან წაიღო). კლუბის ხელმძღვანელის მალხაზ კაკაურიძის ინფორმაციით, ოთხივე ფეხბურთელის საკითხი გუნდის საერთო კრებაზე განიხილეს და მკაცრადაც დასაჯეს. დოლიძე გარიცხულია კლუბიდან, ალბათ ტრანსფერზე დააყენებენ მერლანსაც მათთან ერთად თენგიზ კობიაშვილს და ზურაბ მეტრეველს ფულადი ჯარიმებიც დააკისრეს. სადისციპლინო კოლეგიის განაჩენი ასეთი იყო: მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მირზა მერლანი და დავით დოლიძე 4-4 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი და 200 ლარის ჯარიმას გადაიხდიან, თენგიზ კობიაშვილი და ზურაბ მეტრეველი ერთი მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი, თანაც 50-50 ლარ ჯარიმას გადაიხდიან.

კიდევ ერთი: პირველი ლიგის კალენდარულ მატჩში დინამო2 – მერანი2 მერანელი ჭითინავა მინდვრიდან გააძევეს, რის გამო იგი ერთ მატჩს გამოტოვებს.

**საბა ლომინაძე**

## რეგიონული ლიგა

**დასავლეთის ზონა**
**XVIII ტური**

საპოვნელა – საირმე 7-2
სქური – ჩიხურა 2-1
კოლხეთი2 – სალხინო 4-2
ინტერი – ლუკა 3-1
დინამო2 – მაღაროელი 1-4
მერცხალი – გზები 3-0
დინამო (სოხ) – ეგრისი 2-1
სამეგრელო – ოკრიბა 0-1
სულორი – დინამო (ზ) 1-0
გურია2 – მეტალურგი2 4-1

*გადატანილი მატჩი*
სქური – ოკრიბა 4-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 18 | 15 | 2 | 1 | 44-12 | 47 |
| სულორი | 18 | 15 | 0 | 3 | 47-20 | 45 |
| საპოვნელა | 18 | 13 | 3 | 2 | 60-18 | 42 |
| დინამო (ზ) | 18 | 13 | 2 | 3 | 37-15 | 41 |
| გურია2 | 18 | 11 | 3 | 4 | 48-19 | 36 |
| მაღაროელი | 18 | 11 | 1 | 6 | 42-28 | 34 |
| კოლხეთი2 | 18 | 9 | 6 | 3 | 32-16 | 33 |
| სალხინო | 18 | 9 | 1 | 8 | 28-28 | 28 |
| ინტერი | 18 | 9 | 1 | 8 | 28-29 | 28 |
| სქური | 18 | 8 | 3 | 7 | 30-33 | 27 |
| საირმე | 18 | 7 | 2 | 9 | 19-24 | 23 |
| გზები | 18 | 7 | 1 | 1 | 19-27 | 22 |
| ეგრისი | 18 | 7 | 1 | 10 | 30-30 | 22 |
| მეტალ.2 | 18 | 5 | 3 | 10 | 29-36 | 18 |
| დინ.2 (ბთ) | 18 | 4 | 2 | 12 | 12-34 | 14 |
| სამეგრელო | 18 | 4 | 2 | 12 | 22-48 | 14 |
| ჩიხურა | 18 | 4 | 1 | 13 | 13-45 | 13 |
| დინ. (სოხ) | 18 | 3 | 4 | 11 | 21-40 | 13 |
| ლუკა | 18 | 3 | 2 | 13 | 18-52 | 11 |
| ოკრიბა | 18 | 3 | 0 | 15 | 15-44 | 9 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 16 | 13 | 2 | 1 | 39-7 | 41 |
| ალაზანი | 16 | 12 | 2 | 2 | 41-16 | 38 |
| ივერია | 16 | 10 | 2 | 4 | 42-26 | 32 |
| ვიტ ჯორჯია2 | 16 | 9 | 4 | 3 | 43-13 | 31 |
| მაუდი | 16 | 9 | 3 | 4 | 23-13 | 30 |
| აკადემია | 16 | 8 | 5 | 3 | 28-17 | 29 |
| ოლიმპიკი | 16 | 8 | 4 | 4 | 34-18 | 28 |
| ზოოვეტი | 16 | 9 | 1 | 6 | 34-20 | 28 |
| ცხუმი | 16 | 8 | 4 | 4 | 35-16 | 28 |
| ჭაბუკიანი | 16 | 6 | 7 | 3 | 20-22 | 25 |
| ვარძია | 16 | 7 | 3 | 6 | 14-20 | 24 |
| მესხეთი | 17 | 7 | 1 | 9 | 22-27 | 22 |
| ლიახვი | 16 | 6 | 1 | 9 | 24-33 | 19 |
| გორდა2 | 16 | 5 | 4 | 7 | 25-24 | 19 |
| დინ.3 (თბ) | 16 | 4 | 4 | 8 | 20-24 | 16 |
| კრწანისი | 16 | 4 | 2 | 10 | 21-38 | 14 |
| თბილისი | 15 | 3 | 2 | 10 | 20-46 | 11 |
| მერანი3 | 16 | 3 | 2 | 11 | 13-39 | 11 |
| მრეტები | 16 | 0 | 4 | 12 | 17-39 | 4 |
| ჯავახი | 16 | 0 | 1 | 15 | 13-79 | 1 |



**აღმოსავლეთის ზონა**
**XVI ტური**

თბილისი – ჯავახი (30.XI)
აკადემია – ჭაბუკიანი 1-0
ალაზანი – კრწანისი 2-1
ოლიმპიკი – მაუდი 2-2
ვიტჯორჯია2 – ლიახვი 1-0
ზოოვეტი – მცხეთა 0-2
მესხეთი – ცხუმი 1-2
ვარძია – მერანი3 1-0
გორდა2 – მრეტები 1-0
ივერია – დინამო3 2-1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეგენდარული კაპიტნები

**„რჩეულნი რჩეულთა შორის“ — ამ რუბრიკით ინტერნეტმა საიტით „სპორტკლუბი“, გაავრცელა მასალები ლეგენდარულ საფეხბურთო კაპიტნებზე: ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინიზე, ბობი ჩარლტონზე, იგორ ნეტოზე, ვიქტორ კოლოტოვზე და ალექსანდრე ჩივაძეზე. „ლელოს“ წინა ნომრებში ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინიზე, ბობი ჩარლტონზე, იგორ ნეტოზე და ვიქტორ კოლოტოვზე გიამბეთ. დღეს კი ალექსანდრე ჩივაძეს წარმოგიდგენთ.**

## ალექსანდრე ჩივაძე

დაიბადა 1955 წლის 8 აპრილს, სოფ. ქლუხორში. ამპლუა: ცენტრალური მცველი. 1980-1987 წლებში იყო თბილისის „დინამოს“, 1981-1984 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი.

სამხრეთულ კლუბებზე ამბობენ, თითქოს ყველა მათი მოთამაშე ლიდერია. გამონაკლისი არც თბილისის „დინამო“ ყოფილა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში. გუნდში ბლომად იყვნენ ვარსკვლავები და მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის მთავარი პრობლემა იყო შეექმნა მათგან ერთიანი გუნდი, მაგრამ ამისთვის, როგორც ყველამ იცის, საჭიროა „ავტორიტეტი“ — ფეხბურთელი, რომლის ირგვლივ დაირაზმებიან დანარჩენები.

პარადოქსალურია, რომ 1980 წლის საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ, თბილისის „დინამომ“ კაპიტნად აირჩია არა ვინმე ძველი ფეხბურთელებიდან, ანდა, გულშემატკივრების მიერ აღიარებული კერპებიდან, არამედ ახალგაზრდა, რომელიც დაცვაში თამაშობდა — ალექსანდრე ჩივაძე. თავდაპირველად გულშემატკივრები ჩურჩულებდნენ: თითქოს, ყოველშემთხვევისთვის გამოინახა განტევების ვაცი — ცენტრალურ მცველს ხომ მუდამ ადვილად შეიძლება დაბრალდეს წარუმატებლობა.

ასეთი მითქმა-მოთქმა მალე ჩაცხრა. ჩივაძე სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, „დინამო“ კი თასის ფინალში გავიდა.

1981 წელს ჩივაძე სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნად აირჩიეს. მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ თასების თასი მოიგო, ჩივაძის ავტორიტეტი უფრო ამაღლდა. „ის სწორედ რომ გუნდური მოთამაშე იყო“, — იხსენებს სსრ კავშირის ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი, — ტალანტით ჩივაძე იოტისოდენადაც არ ჩამორჩებოდა დიდ არგენტინელს დანიელ პასარელას, მაგრამ საშასთვის საკუთარ სახელზე და მიღწევებზე ზრუნვა არ არსებობდა, გუნდი იყო მისთვის ყველაფერი.

„სპორტ კლუბ“



ესპანეთი-82
ზიკოსა და ჩივაძის ორთაბრძოლა

# დამარცხებული „დინამოს“ გამარჯვებული რაინდი

წერილის სათაური, ვფიქრობ; მიესადაგება თბილისის „დინამოს“ 50-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდს, აწ გარდაცვლილ კარლო გაგნიძეს, რომლის საფეხბურთო კარიერა 1948 წელს დაიწყო ფეხბურთის ჯადოქრად მონათლულ ანდრო ჟორდანიას — თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდში. უკვე მომდევნო, 1949 წლის შედეგით გუნდმა „ა“ კლასის საგზური მოიპოვა. მწვანე მინდორზე გამოსვლის პირველსავე მატჩებიდან კარლო გაგნიძემ ყურადღება მიიქცია, როგორც კომბინაციური სტილის მოთამაშემ, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი თბილისის „დინამოში“ გადაყვანა გუნდის სხვა წამყვან მოთამაშეებთან ერთად. თბილისის „სპარტაკში“ გამოსვლის პერიოდში კარლო გაგნიძე გახლდათ იმ ისტორიული მატჩის მონაწილე და გამარჯვების სულისჩამდგმელი, როდესაც ახალბედა „სპარტაკმა“ თავის მოედანზე დაამარცხა განთქმული მოსკოვის „დინამო“ — 1-0, რაც თავის დროზე სენსაციადაც კი მიიჩნიეს. კარლო გაგნიძეს ამავე სეზონში გოლი აქვს გატანილი ერევნის „დინამოს“ კარში, ხოლო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ მატჩში — 2. ეს მატჩი „სპარტაკმა“ 4-1 მოიგო. კარლო გაგნიძე თბილისის „სპარტაკიდან“ „დინამოში“ გადასულ იმ ერთადერთ ფეხბურთელს წარმოადგენდა, რომელიც კარგად მოერგო „დინამოს“ სათამაშო სქემას. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა შედეგიანობაზეც — 149 კალენდარულ მატჩში მის ანგარიშზეა 32 გოლი. „ა“ კლასში გამოსვლის 10 სეზონის განმავლობაში კარლო ორჯერ გახლდათ ვიცე-გოლადორი: 1951 წლის სეზონში ავთანდილ ღოღობერიძემ 16 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, კარლო გაგნიძემ — 9. 1958 წლის სეზონში შოთა იამანიძის ანგარიშზე 11 გოლი იყო, კარლო გაგნიძის ანგარიშზე — 6.

ახლა მინდა გავიხსენო მისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, რომელიც 1958 წლის ივლისში გაიმართა მოსკოვში ლუჟნიკის სტადიონზე, სადაც მოსკოვის განთქმული „სპარტაკი“ თბილისის „დინამოს“ მასპინძლობდა. იმ წელს მოსკოვის „სპარტაკმა“ დუბლი შეასრულა — გახდა როგორც სსრ კავშირის ჩემპიონი, ისე თასის მფლობელი. ზემოაღნიშნული მატჩისადმი აჟიოტაჟი უჩვეულო იყო, რადგან მოსკოვში იმყოფებოდნენ საქართველოს თითქმის ყველა სახეობის სპორტსმენთა წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა, ცხადია, ესწრებოდა ამ თამაშს. მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ ერთმანეთის პირისპირ წარსდგა თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით, და იგი ტექნიკური ფეხბურთის ნამდვილ ზეიმად იქცა. მატჩის პირველ ტაიმში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, რომელიც მალე გაათანაბრა კარლო გაგნიძემ — 1-1. იგი ამ დღეს მარჯვენა ინსაიდის ფუნქციას ასრულებდა. ტრიბუნებზე ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, რომ „სპარტაკი“ კვლავ წინ გავიდა — 2-1. ტაიმის დასასრულამდე ცოტა დრო რჩებოდა, როდესაც კარლო გაგნიძე დაეუფლა მიხეილ მესხის მიერ შორი მანძილიდან ჩამოწოდებულ ბურთს და თავური დარტყმით, აკრობატულ ნახტომში გაგზავნა „სპარტაკის“ კარში, რომელსაც ვალენტინ ივაკინი იცავდა. კარლო კი ძალზე უხერხულად დაეცა და გარკვეული დრო დასჭირდა მის გონზე მოსვლას. იმ მატჩის გაგრძელება მან ველარ შეძლო. სტადიონზე მოსულ მაყურებელთა ნაწილს მოეჩვენა, რომ კარლო გაგნიძის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს „სპარტაკის“ მცველებმა. ტრიბუნაზე (იგულისხმება დასავლეთ ტრიბუნის „ბ“ და „ვ“ სექტორები) დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა, რომელიც საბედნიეროდ დიდმასშტაბიან ექსცესებში არ გადაზრდილა. „თავისი სიტყვა“ ამჯერად მილიციისა და ჯარის ნაწილებმაც თქვეს. თამაში საკმაო ხნით შეწყდა. დასავლეთ ტრიბუნის მოაჯირთან მოირბინა მიხეილ მესხმა და მაყურებელს სთხოვა სიმშვიდე. რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, მისი მოწოდება ყურად იღო ორთავე მხარემ. ტაიმი დასრულდა ანგარიშით 2-2...

მატჩის მეორე ნახევარში მაყურებელი კიდევ უფრო მეტ შემართებას მოელოდა ქართველი ფეხბურთელებისგან, მაგრამ მოხდა საპირისპირო — „დინამოს“ ვერ იცნობდით — მათმა იერიშებმა დაკარგა სიმწვავე — დაირღვა კავშირი დაცვასა და თავდასხმას შორის, რის შედეგად „სპარტაკმა“ კიდევ სამი ბურთი გაიტანა თბილისის „დინამოს“ კარში და გაიმარჯვა 5-2. შემდგომში მატჩები თბილისის „დინამომ“ ასევე მოსკოვში გამართა კარლო გაგნიძის გარეშე. ჩვენები დამარცხდნენ მოსკოვის „დინამოსთან“ — 2-3, „ტორპედოსთან“ — 1-3, ცსკა-სთან 1-5 და სეზონის ბოლოს მოკრძალებული მე-9 ადგილით დაკმაყოფილდნენ ჩემპიონატში მონაწილე 12 გუნდს შორის. ცხადია, ამ წარუმატებლობას თბილისელთა უფროსი მწვრთნელის ვასილი სოკოლოვის განთავისუფლება მოჰყვა. შემდგომ, 1959 წლის სეზონში, გუნდში უკვე მეოთხედ მოუხმეს ანდრო ჟორდანიას, რომელმაც თბილისის „დინამო“ მე-3 საპრიზო ადგილზე გაიყვანა. იმ სეზონში ანდრო ჟორდანიას კარლო გაგნიძე გუნდიდან არ დაუთხოვია, თუმცა მოსკოვში მიღებული მძიმე ტრავმის შემდგომ, მატჩის ბოლოს, რამდენიმე წუთით მაინც გამოჰყავდა მინდორზე, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებისათვის ჩატარებული მატჩების რაოდენობის მისაღებად. სრულიად საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ნორმების მიხედვით, კარლო გაგნიძემ ყველა მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ თვით მან უარი განაცხადა ამ წოდების მიღებაზე, არ შეაგროვა და არ წარადგინა სათანადო საბუთები. მისი აზრით, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას „დინამოს“ სხვა მოთამაშეებიც იმსახურებდნენ. სწორედ ამ შემთხვევის გამო დასტამბა ამ რამდენიმე წლის წინათ სულმნათმა ოთარ ნოზაძემ საგაზეთო წერილი სათაურით — „სპორტის დამსახურებულ-დაუმსახურებელი ოსტატი“...

კარლო გაგნიძე რომ ჭეშმარიტი ფეხბურთის რაინდი იყო, არ გამოჰპარვია იმდროინდელ სპორტულ პრესას თუ რადიოს. სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალმა „ნიანგმა“ მასზე დასტამბა ლექსი, რომელიც ასე ჟღერდა:

*„...უახლოვდება ტაიმი ბოლოს...*
*და მოედანზე უკვე ბინდდება,*
*ახლა გამოვა კარლო გაგნიძე —*
*თქვენ კი ნურაფრის შეგეშინდებათ“.*

სწორედ ზემოაღნიშნული სტრიქონთა გავლენით ჩვენმა განუმეორებელმა და სასიქადულო რადიოკომენტატორმა ეროსი მანჯგალაძემ... არაერთგზის წარმოთქვა ეთერში ჯანსაღი იუმორით აღსავსე სიტყვები... „ძვირფასო მეგობრებო... უკვე გაისმა გონგის ხმა და ახლა მოედანზე შემოსასვლელად ალბათ კარლო გაგნიძე ემზადება...“

არც საკავშირო პრესას დაუტოვებია უყურადღებოდ ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდი კარლო გაგნიძე. თავის მემუარულ ნაშრომში „კიდევ ერთხელ ფეხბურთზე“ ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ რედაქტორი — ფეხბურთის „ქურუმი“ — მარტინ მერჟანოვი შენიშნავდა, რომ თბილისელებს ჰყავთ შეუდარებელი მეკარე ვლადიმერ მარღანია, საუკეთესო მცველები ვ. ელოშვილი და ნ. ძიაპშიპა, გუნდის ხერხემალი ავთანდილ ღოღობერიძე და ძმები გაგნიძეები. კარლო გაგნიძე საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატების მეორე 3-გზის პრიზიორი გახლდათ 1951-1953 წლებში.



*თბილისის «დინამო»*
*მარჯვნიდან პირველი — კარლო გაგნიძე*

**დემურ ტორაძე**

**P.S. აღსანიშნავია, რომ 1952-1955 წლებში თბილისის „დინამოში“ კარლოს მხარდამხარ გამოდიოდა მისი ძმა ნიკოლოზი, რომელსაც 45 მატჩი ჰქონდა ნათამაშევი თბილისის „დინამოში“. იგი კარლოზე ორი წლით უმცროსი იყო.**

## ჩემპიონთა ლიგა

### D ჯგუფი

*გადატანილი მატჩი*

**იუვენტუსი (იტალია) – ბაიერი (გერმანია) 4-0**

***გოლები:*** ტრეზეგე 7 (1-0), დელ პიერო 37 (2-0), ტუდორი 44 (3-0), ტრეზეგე 60 (4-0)

***იუვენტუსი:*** ბუფონი, ტუდორი, პესოტო, დელ პიერო, ნედვედი (დავიდსი 84), იულიანო, ბირინდელი, ტრეზეგე (ამორუზო 77), ძამბროტა, ტაკინარდი, ტიურამი.

***ბაიერი:*** ბუტი, ნოვოტნი, ზე რობერტო, კირსტენი (ვიორნსი 75), იულდირალ ბარსტიურკი (შნაიდერი 52), ბალაკი, ლუსიუ, შებეშკენი, ნოივილი, რამელოვი, პლასენტე (ჟივკოვიჩი 66).

***მსაჯი:*** ურს მაიერი (შვეიცარია).

მაყურებელი — 4000.

## „ბაიერი“ ნისლში ჩაიკარგა

ნისლის გამო ორჯერ გადატანილი, ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის, პირველი ტურის მატჩი როგორც იქნა გაიმართა. „დელე ალპიზე“ იუვენტუსმა გერმანელ „აფთიაქართა“ ნაქები გუნდი, მართლაც დანისლა. უმოწყალოდ გაუსწორდა და ჯგუფშიც დაწინაურდა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| **დეპორტივო** | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| **არსენალი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| **ბაიერი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

## „ტიროლის“ ყოფილ მწვრთნელს ახირებულობაში სდებენ ბრალს

**„ჰამბურგის“ ჩეხმა ლეგიონერებმა მარკ ჰაინცმა და მილან ფუკალმა ბრალი დასდეს თავიანთ მწვრთნელს კურტ იარას (ცოტა ხნის წინათ იგი ავსტრიის „ტიროლს“ ედგა სათავეში) ეროვნული ნიშნით ფეხბურთელთა უფლებების დარღვევაში. ჩეხმა ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ უკმაყოფილონი არიან გუნდში თავიანთი დღევანდელი მდგომარეობით და სურვილი გამოთქვეს, რაც შეიძლება ჩქარა გაეცალონ მას. „როცა იარა მწვრთნელად დაინიშნა, მე მეუბნებოდნენ, რომ მას არ უყვარს ჩეხები — დაიჩივლა 25 წლის ფუკალმა, მაგრამ მაშინ მე არ დავუჯერე ჭორებს. ახლა კი ვფიქრობ, რომ რაც მითხრეს, მართალია“.**

## „ბავარია“ ბერლინში კანის და ეფენბერგის გარეშე მიდის

ბუნდესლიგის მე-15 ტურის მატჩის ჩასატარებლად ბერლინის „ჰერტას“ წინააღმდეგ, გერმანიის ახლანდელი ჩემპიონი მიუნხენის „ბავარია“ ოლივერ კანის ნაცვლად შტეფან ვესელსს, ან ბერნდ დრეერს ათამაშებს. კანი ტრავმირებულია. ბერლინის მატჩს გამოტოვებს აგრეთვე მიუნხენელთა კაპიტანი შტეფან ეფენბერგი, რომელიც გერმანიის ჩემპიონატის წინა ტურის მატჩში დაშავდა.

# საკონტინენტთაშორისო თასი – მიუნხენის „ბაიერნს"




## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი

1 დეკემბერს კორეაში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ჯგუფის კენჭისყრა. მანამდე მოეწყო ქვეყნების „განთესვა".

***პირველ კალათაში*** მოხვდნენ შემდეგი ნაკრებები: საფრანგეთი, არგენტინა, იტალია, კორეა, იაპონია, გერმანია, ბრაზილია და ესპანეთი.

***მეორე კალათაში*** განთავსდნენ ირლანდია, რუსეთი, ინგლისი, ბელგია, დანია, ხორვატია, პორტუგალია, პოლონეთი, თურქეთი, სლოვენია, შვედეთი.

***მესამე კალათაში*** განათავსეს: საუ. არაბეთი, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ჩინეთი.

***მეოთხე კალათაში:*** კოსტა რიკა, მექსიკა, აშშ, ტუნისი, ნიგერია, სამ. აფრიკა, კამერუნი და სენეგალი.




**ტოკიო, 27 ნოემბერი**

**ბაიერნი (გერმანია) – ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1-0 (დ.დ.)**

**ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლიზარაზიუ, კუფური, რ. კოვაჩი, ფინკი, ჰარგრივსი (სფორცა 76), ნ. კოვაჩი (იანკერი 76), პიზარო (ტიამი 118), ელბერი, პაულო სერჟიო.**

**ბოკა ხუნიორსი: კორდობა, შიავი, მარტინესი (კალვო 17), ბურდისო, როდრიგესი, სერნა, ტრავერსო, რიკელმე, ვილიარეალი (პინტო 99), დელგადო, სკელოტო.**

*გოლი:* **კუფური (110)**

*მსაჯი:* **კიმ მილტონ ნილსენი (დანია)**

*გააძევეს:* **დელგადო (45 წუთზე)**

საკონტინენტთაშორისო თასის, ანუ როგორც მას უწოდებენ „ტოიოტა კაპ"-ის წლევანდელ გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ თასის შარშანდელი მფლობელი არგენტინის „ბოკა ხუნიორსი" და გერმანიის „ბაიერნი", რომელსაც ეს თასი მოპოვებული ჰქონდა 25 წლის წინათ – 1976 წელს.

უძლიერესი საკლუბო გუნდის გამოვლენის იდეა ორმოც წელზე მეტია არსებობს, მაგრამ 1980 წლამდე ამ თასზე თამაში არც ისე პრესტიჟული იყო და აი, 1980 წელს იაპონურმა ავტო გიგანტმა „ტოიოტამ" თავის ფრთის ქვეშ მოაქცია ამ ტურნირის ორგანიზება.

მიუნხენის „ბაიერნის" ამ მოგებით ევროპამ გაათანაბრა ანგარიში ისტორიულ ორთაბრძოლაში სამხრეთ ამერიკასთან – 11:11.

შეხვედრის დასაწყისიდანვე იგრძნობოდა გერმანელთა მცირე უპირატესობა, არგენტინელები ცდილობდნენ კონტრშეტევებით მიეღწიათ წარმატებისთვის. შეტევაში ორივე გუნდი თამაშობდა ერთფეროვნად და ასპროცენტიანი საგოლე მომენტები პრაქტიკულად არ შექმნილა არც ერთ კართან. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე დანიელმა მსაჯმა სიმულიაციისათვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა დელგადოს და არგენტინელები ათნი დარჩნენ. მეორე ნახევარში გერმანელები ბევრს ეცადნენ გაეხსნათ ანგარიში, მაგრამ უშედეგოდ. ინიშნება დამატებითი დრო. თასის რეგლამენტით, აქ არ მოქმედებს, „ოქროს გოლის" წესი. დამატებითი დროის დასაწყისშივე პიზაროს ჰქონდა რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ მისი დარტყმა სცდება არგენტინელთა კარს. შეხვედრის 110-ე წუთზე კუთხურის მოწოდების შემდეგ, გამოსვლაზე შეცდა არგენტინელთა მეკარე ოსკარ კორდობა, პიზაროს დარტყმის შემდეგ როდრიგესმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, მაგრამ იქვე ჩნდება სამუელ კუფური და ახლო მანძილიდან გააქვს გადამწყვეტი გოლი.

ბაროს სკელეტო, რიკელმე, სანიოლი, ელბერი და ჰარგრივსი – ყველამ შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ გატანილმა გოლმა ყველაფერი გადაწონა და სამუელ კუფური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. პრიზად მას გადაეცა „ტოიოტას" ბოლო მოდელის ავტომობილი.



*მომენტები განვლილი მატჩიდან*



## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### საფრანგეთი

მონპელიე – ლიონი 3-0
ლანსი – ბასტია 7-0
ლორიანი – ნანტი 1-2
რენი – მეცი 0-0
ტრუა – სედანი 1-1
ბორდო – გენგამი 2-0
სოშო – ოსერი 1-2
მონაკო – ლილი 2-2




| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 16 | 10 | 5 | 1 | 30-12 | 35 |
| ლიონი | 16 | 9 | 3 | 4 | 31-16 | 30 |
| ლილი | 16 | 8 | 6 | 2 | 20-13 | 30 |
| ოსერი | 16 | 8 | 5 | 3 | 24-18 | 29 |
| ბორდო | 16 | 7 | 6 | 3 | 15-9 | 27 |
| ტრუა | 16 | 7 | 4 | 5 | 21-18 | 25 |
| პსჟ | 15 | 5 | 8 | 2 | 18-13 | 23 |
| სოშო | 16 | 6 | 5 | 5 | 24-20 | 23 |
| მონპელიე | 16 | 4 | 7 | 5 | 15-14 | 19 |
| მარსელი | 15 | 4 | 6 | 5 | 13-13 | 18 |
| რენი | 16 | 5 | 3 | 8 | 16-25 | 18 |
| მონაკო | 16 | 4 | 5 | 7 | 16-18 | 17 |
| მეცი | 16 | 5 | 2 | 9 | 9-16 | 17 |
| გენგამი | 16 | 4 | 5 | 7 | 14-26 | 17 |
| ბასტია | 16 | 5 | 1 | 10 | 15-27 | 16 |
| სედანი | 16 | 3 | 6 | 7 | 18-20 | 15 |
| ლორიანი | 16 | 4 | 3 | 9 | 23-33 | 15 |
| ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |

### ჰოლანდია

გრონინგენი – ალკმაარი 0-1
დენ ბოსხი – გრაასხაპი 3-1
უტრეხტი – პსვ 3-3
ნაიმეგენი – ბრედა 1-3
ვალვაიკი – ფეიენოორდი 2-3
როდა – სიტარდი 1-0
სპარტა – ტილბურგი 3-2
აიაქსი – ტვენტე 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეიენოორდი** | 13 | 10 | 1 | 2 | 31-10 | 31 |
| **აიაქსი** | 14 | 9 | 2 | 3 | 31-18 | 29 |
| **ბრედა** | 15 | 8 | 3 | 4 | 28-22 | 27 |
| **ვიტესი** | 14 | 7 | 5 | 2 | 15-7 | 26 |
| **ჰერენვენი** | 14 | 7 | 4 | 3 | 26-10 | 25 |
| **უტრეხტი** | 15 | 7 | 3 | 5 | 29-20 | 24 |
| **პსვ** | 15 | 7 | 3 | 5 | 28-23 | 24 |
| **ვალვაიკი** | 15 | 6 | 2 | 7 | 21-19 | 20 |
| **ალკმაარი** | 15 | 6 | 2 | 7 | 18-18 | 20 |
| **ტილბურგი** | 15 | 4 | 6 | 5 | 22-24 | 18 |
| **ნაიმეგენი** | 15 | 5 | 3 | 7 | 13-25 | 18 |
| **გრაასხაპი** | 15 | 5 | 2 | 8 | 19-28 | 17 |
| **დენ ბოსხი** | 15 | 3 | 7 | 5 | 21-23 | 16 |
| **სპარტა** | 15 | 4 | 4 | 7 | 17-33 | 16 |
| **ტვენტე** | 14 | 3 | 6 | 5 | 16-20 | 15 |
| **როდა** | 15 | 4 | 3 | 8 | 15-21 | 15 |
| **გრონინგენი** | 15 | 4 | 2 | 9 | 16-28 | 14 |
| **სიტარდი** | 13 | 2 | 2 | 9 | 12-29 | 8 |

### ბელგია

ანდერლეხტი – ლოკერენი 0-0
ლიერსი – მუსკრონი 3-3
გენტი – სტანდარდი 2-5
ლომელი – შარლერუა 5-1
ლუვიე – ბევერენი 3-2
გენკი – ვესტერლო 2-0
ბრიუგე – სტ. ტრუიდენი 2-0
აალსტი – მოლენბეკი 2-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბრიუგე** | 13 | 11 | 1 | 1 | 34-11 | 34 |
| **გენკი** | 14 | 9 | 4 | 1 | 40-17 | 31 |
| **გენტი** | 14 | 9 | 2 | 3 | 28-21 | 29 |
| **ლოკერენი** | 14 | 8 | 2 | 4 | 20-12 | 26 |
| **სტანდარდი** | 13 | 7 | 4 | 2 | 23-15 | 25 |
| **ანდერლეხტი** | 13 | 6 | 5 | 2 | 25-14 | 23 |
| **ბეერსხოტი** | 14 | 6 | 4 | 4 | 31-22 | 22 |
| **სტ. ტრუიდ.** | 14 | 5 | 3 | 6 | 21-22 | 18 |
| **ლომელი** | 14 | 4 | 5 | 5 | 27-31 | 17 |
| **შარლერუა** | 14 | 5 | 2 | 7 | 13-25 | 17 |
| **აალსტი** | 14 | 5 | 2 | 7 | 16-29 | 17 |
| **მუსკრონი** | 14 | 5 | 1 | 8 | 23-20 | 16 |
| **ვესტერლო** | 13 | 4 | 2 | 7 | 18-21 | 14 |
| **ლიერსი** | 14 | 3 | 5 | 6 | 18-22 | 14 |
| **მოლენბეკი** | 14 | 4 | 2 | 8 | 19-27 | 14 |
| **ანტვერპენი** | 14 | 3 | 2 | 9 | 18-26 | 11 |
| **ლუვიე** | 14 | 3 | 2 | 9 | 15-31 | 11 |
| **ბევერენი** | 14 | 1 | 4 | 9 | 12-35 | 7 |

### ავსტრია

კერნტენი – შტურმი 2-2
ზალცბურგი – აუსტრია 1-0
ადმირა – ტიროლი 2-0
გრაცერი – რიდი 4-1
რაპიდი – ბრეგენცი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტიროლი** | 19 | 14 | 3 | 2 | 39-4 | 45 |
| **გრაცერი** | 21 | 11 | 5 | 5 | 45-28 | 38 |
| **შტურმი** | 20 | 10 | 7 | 3 | 36-20 | 37 |
| **კერნტენი** | 20 | 9 | 5 | 6 | 24-26 | 32 |
| **ზალცბურგი** | 21 | 8 | 6 | 7 | 23-24 | 30 |
| **აუსტრია** | 20 | 5 | 7 | 8 | 24-24 | 22 |
| **ბრეგენცი** | 21 | 5 | 7 | 9 | 25-44 | 22 |
| **რიდი** | 21 | 5 | 6 | 10 | 26-35 | 21 |
| **რაპიდი** | 20 | 5 | 5 | 10 | 18-28 | 20 |
| **ადმირა** | 21 | 3 | 3 | 15 | 16-43 | 12 |

### აიაქსის მწვრთნელი გაანთავისუფლეს



„აიაქსის" მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსენი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. არავითარი განცხადება თუ რა მოტივით დაითხოვეს ადრიანსენი, არ გაკეთებულა. თუმცა მიზეზი ძნელი მისახვედრი არაა – „აიაქსის" ცუდი გამოსვლა ჰოლანდიის ჩემპიონატში. საკუთარ მოედანზე მესამე დამარცხების შემდეგ, მაყურებლებმა სტვენით გააცილეს მწვრთნელი და მოითხოვეს მისი განთავისუფლება.

## ქვეყნები, თასები

### გერმანია

**თასის მე-2 ეტაპი**

ერფურტი – ჰერტა 1-2 (დ.დ.)
ურდინგენი – ვერდერი 1-1 (5-4 პენ)
არმინია – შალკე 1-2
ჰამბურგი – შტუტგარტი 0-2
მაინცი – ფიურტი 3-2
ვოლფსბურგი – უნტერჰახინგი 3-0
დარმშტადი – ფრაიბურგი 3-3 (3-1 პენ)
ვოლფსბურგი (მოყვარული) – ჰანოვერი 0-4
ულმი – უნიონი 0-3
ვერდერი (მოყვარული) – აინტრახტი 3-3 (2-4 პენ)
ვალდჰოფი – კაიზერსლაუტერნი 2-3
ალემანია – კიოლნი 1-2
მიუნხენი – მიონხენგლადბახი 4-3
როიტლინგენი – ობერჰაუზენი 2-2 (3-4 პენ).

### ინგლისი

**ლიგის თასის მე-4 ეტაპი**

ბლექბერნი – მანჩესტერ სიტი 2-0
არსენალი – გრიმსბი 2-0
ნიუკასლი – იფსვიჩი 4-1
ბოლტონი – საუთჰემპტონი 1-1 (6-5 პენ)
უოტფორდი – ჩარლტონი 3-2 (დ.დ.)
ასტონ ვილა – შეფილდ უენსდეი 0-1
ლიდსი – ჩელსი 0-2

### იტალია

**1/8 ფინალი**
**(განმეორებითი მატჩები)**

რომა – პიაჩენცა 3-0 (პირველი შეხვედრა (1-2)
პერუჯა – მილანი 0-0 (0-3)
პარმა – მესინა 1-2 (2-0)
სიენა – ლაციო 0-1 (1-2)
ბრეშა – კომო 1-0 (0-1) (5-3 პენ)

### ესპანეთი

**1/16 ფინალი**

ფიგერესი (III დივიზიონი) – ოსასუნა 0-0 (4-2 პენ)
ფეროლი (II) – ვალიადოლიდი 1-2
სალამანკა (II) – სელტა 1-0 (დ.დ.)
სპორტინგი (II) – ალავესი 2-0
ლოგრონიესი (III) – ოსპიტალეტი (III) – 0-3
ლეონესა (III) – დეპორტივო 1-2
ნოველდა (III) – ლას პალმასი 1-0
კორდობა (II) – ხაენი (II) 1-0
ბადახოსი (II) – უელვა (II) 0-0 (5-3 პენ)
ალბასეტე (II) – რაიო ვალეკანო 1-3
ტოლედო (III) – ბილბაო 2-3 (დ.დ.)
ლანსაროტე (III) – რეალი 1-3
სეუტა (III) – მალიორკა 0-0 (4-5 პენ).




### პოლონეთი

**1/4 ფინალი**
(განმეორებითი მატჩები)

სვიტი – პლოცკი 1-0
ვისლა – ლკს 4-1

### შოტლანდია

**ლიგის თასის 1/4 ფინალი**

ჰიბერნიანი – დანდი იუნ. 2-0
როსი – რეინჯერსი 1-2
ეარი – ინვერნესი 5-1
ლივინგსტონი – სელტიკი (გადაიდო)

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ფეირ-პლეი

## დი კანიო ფეირ-პლეის პრიზის ლაურეატი


დი კანიო

ინგლისის პრემიერლიგის გუნდ „ვესტჰემის“ ფორვარდი პაოლო დი კანიო ყოველწლიურ სპეციალურ პრიზს მიიღებს ფიფასგან. ეს ჯილდო იტალიელ ფეხბურთელს მიენიჭა იმისათვის, რომ მან არ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და გადამწყვეტი გოლი არ გაიტანა „ევერტონის“ წინააღმდეგ მატჩში, მას შემდეგ, რაც მეტოქის გოლკიპერი პოლ ჯერარდი ზეზე ვერ წამოდგა ტრავმის გამო.

ხსენებულ მომენტში დი კანიო, ყველასგან მოულოდნელად გაჩერდა ბურთთან, რათა მეკარისთვის დახმარება აღმოეჩინათ. ფეხბურთელი ტაშით დააჯილდოვა ორივე გუნდის ფეხბურთელებმა და სტადიონზე შეკრებილმა ყველა გულშემატკივარმა.

„ფეირ-პლეის“ ჯილდოს, ოღონდ დიპლომს, მიიღებს აგრეთვე განელი ახალგაზრდა ფეხბურთელი სუმაილა აბდალა „ფეხბურთის მინდორზე სიცოცხლის გადარჩენისათვის“. ერთ-ერთი მატჩის დროს ჭაბუკმა ფეხბურთელმა გონება დაკარგა და იგი სიკვდილისგან. აბდალამ იხსნა ხელოვნური სუნთქვის ჩატარებით.


მარჩელო ლიპი

## ლიპის თავზე ცა მოიღრუბლა?

**არაოფიციალური მონაცემებით „იუვენტუსის“ მამები უკმაყოფილონი არიან მიმდინარე სეზონში გუნდის შედეგებით და მზად არიან თანამდებობიდან გაუშვან მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი. მის ნაცვლად კლუბში შეიძლება მიიწვიონ არგენტინის ჩემპიონის „სან-ლორენცოს“ თავკაცი მანუელ პერეგრინი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველგვარი მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღება, რადგან, გუშინ, „იუვენტუსმა“ „ბაიერს“ ორჯერ გადადებული პრინციპული მატჩი მოუგო და თანაც როგორი ანგარიშით (4-0).**

## გვარდიოლამ შეიძლება კარიერა დაასრულოს


გვარდიოლა

ესპანეთის ნაკრების ჰავბეკმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ კარიერას დაამთავრებს იმ შემთხვევაში თუ იგი ვერ შეძლებს დაამტკიცოს თავისი სიმართლე დოპინგის მოხმარების ბრალდებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ ყოფილი კაპიტანი, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც იტალიის „ბრეშაში“ გადავიდა, ბოლო ორ კვირაში ორჯერ ამხილეს ანაბოლიკების მიღებაში. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ უდანაშაულოა და კარიერას ველარ გააგრძელებს თუ მისი სპორტული პრესტიჟი ეჭვქვეშ დადგება.

„მსოფლიოში არ არის ფეხბურთელი, რომელსაც შეიძლება ჩემზე მეტი სურვილი გააჩნდეს ითამაშოს ფეხბურთი“, — ამბობს 30 წლის ვეტერანი, — მაგრამ ვიდრე მინდორზე ხელახლა გავალ, მე უნდა დავამტკიცო ჩემი სიმართლე. მე არ მაშინებს დისკვალფიკაციის სიმძიმე. მე მხოლოდ მსურს აღიარონ, რომ ტესტ-შედეგი შეცდომა იყო“.

დავძენთ, რომ ესპანელი მეორე მსხვერპლი გახდა ანტიდოპინგურ კამპანიაში, რომელიც სერია „ა“-ში ჩატარდა ბოლო თვეში. ადრე ეჭვმიტანილი გახდა „ლაციოს“ მცველი იაპ სტამი, რომელიც ისევე, როგორც გვარდიოლა, იტალიაში გადაბარგდა მიმდინარე სეზონში. დღეს ორივე მოთამაშე ფეხბურთიდან გაძევებულია გაურკვეველი ვადით.


ვერონი

## ვერონი შეიძლება წავიდეს

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი საიმისოდ, რომ გაისად დატოვოს ეს კლუბი, ესპანეთის „ბარსელონა“ მზადაა არგენტინელ ვარსკვლავში გადაიხადოს 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი.**

**25 წლის ფეხბურთელში „პარმამ“ 13 მილიმონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა 1996 წელს. ერთი წლის შემდეგ „ლაციომ“ ვერონში 20 მილიონი გადაიხადა. სწორედ „ლაციოში“ გაეხვია ეს ფეხბურთელი პასპორტთან დაკავშირებულ სკანდალში. შემდეგ იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა, ახლა კი იქიდანაც აპირებს წასვლას.**

# ისევ ერთად უნდა ვიყოთ

ალბათ, ბევრს ახსოვს 1990 წლის დასაწყისი, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარების შესახებ. იმ დროს ეს იყო მთელ საბჭოთა კავშირში უპრეცედენტო, მაგრამ სამართლიანი და რეალური გადაწყვეტილება, რადგან ის გამოხატავდა ქართველი ხალხის სწრაფვას, მის ნებას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ და სუვერენიტეტისკენ. უფრო სწორად, ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება, რადგან ხედავდნენ, რომ საბჭოთა იმპერია იშლებოდა და საჭირო იყო, ჩვენი თავისთვის დროულად მიგვეხედა. ეს კი თავის მხრივ ნიშნავდა იმას, რომ გემის სრულ ჩაძირვამდე ყველას უნდა ეცადა თავიანთი ნავებით გადარჩენაზე ეფიქრათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ აგრეთვე საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების ცალკე ჩატარებამ, მოსკოვის მწვავე და უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით 1990 წლის 24 თებერვალს გაზეთმა „იზვესტიამ“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ვინმე ს. ტარანოვის წერილი სათაურით — „უმაღლეს ლიგაში — 14 გუნდი“. ავტორი ამ წერილში სახელდობრ წერდა: „... ესე იგი, სპორტი და პოლიტიკა კვლავაც „ერთი მთელია?“ ე.ი. ისევ აღორძინდა პრინციპი, რომელიც დიდი ჯაფის ფასად უარვყავით“. ამ წერილით ს. ტარანოვს თითქოსდა დაავიწყდა სიმართლის აღიარება, რომ სპორტი და პოლიტიკა, დღიდან საბჭოთა კავშირის შექმნისა, ყოველთვის ერთად იყო და ერთმანეთს ავსებდა, ხოლო იქ, სადაც ქვეყანა სამართლებრივ საწყისებზე და დემოკრატიულ საფუძვლებზეა აგებული, მას დემოკრატიული მეთოდებით განაგებენ და სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და პირადად იმჟამინდელი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მიერ მიღებულმა ასეთმა სამართლიანმა და პრინციპულმა გადაწყვეტილებამ, საშინლად გააცოფა და გააბოროტა მაშინდელი საკავშირო ფეხბურთის მესვეურები, რის შედეგადაც საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა საპასუხო რეაქციით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გარიცხა საკავშირო ფედერაციის წევრობიდან, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ კოლოსკოვმა იმავე დღიდან საქართველოს საფეხბურთო გუნდებს უფლება ჩამოართვა და მათ აუკრძალა შეხვედროდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ნებისმიერი ქვეყნების გუნდებს. ეს იყო ჩვენს მიმართ აშკარა დისკრიმინაცია და უფლებების გადამეტება. მეტიც, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა ვიქტორ კოლოსკოვმა დაუშვეს საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სულ მალე დააკმაყოფილა სოხუმის „დინამოს“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ცინიკური თხოვნა, მიეცათ მათთვის უფლება მონაწილეობა მიეღოთ საკავშირო ჩემპიონატში პირველი ლიგის გუნდებს შორის. ვ. კოლოსკოვმა უმალვე დადებითად გადაწყვიტა სოხუმელთა თხოვნა, ამასთან, მისი განმარტებით, ასეთი რამ თითქოსდა დასაშვები იყო. ასეც მოხდა, სოხუმის „დინამო“ მართლაც გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებს შორის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შესაბამისად, რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. მაგრამ სულ მალე აფხაზ სეპარატისტთა და ზოგიერთ რუს რეაქციონერთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა, სოხუმის „დინამოს“ შემდგომი გამოსვლები და, საერთოდ, მისი არსებობა შეწყვიტა. ის თვითლიკვიდაციაში მოჰყვა, ხოლო ფეხბურთი აფხაზეთში, საერთოდ, ჩაკვდა...

გავიდა ხანი და ახლახან სოხუმში გამომავალი გაზეთიდან („ნუყნაია გაზეტა“) ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების ფიზკულტურის და სპორტის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვიქტორ კოლოსკოვს, რომელიც იმავდროულად „ფიფა“-ს ვიცე-პრეზიდენტიც არის, რომ რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდებს შორის დაუშვას აფხაზ ფეხბურთელთა გუნდი. სწორედ ასეთ დროს იტყვიან, „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო“. ისე გამოდის, თითქოსდა აფხაზებს ყველაფერი წესრიგში აქვთ, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, და ახლა აფხაზებს მხოლოდ ფეხბურთის საქმე აქვთ მოსაგვარებელი, მასზე დაიწყეს ზრუნვა.

დღეს, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, როგორც უეფა-ს, ასევე ფიფა-ს აღიარებული და სრულუფლებიანი წევრია, არ შეიძლება ჩვენი იგნორირება, ხოლო ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტს შევახსენებთ, რომ მას არც პოლიტიკური და არც მორალური უფლება არა აქვს დადებითად გადაწყვიტოს აფხაზ სეპარატისტთა ყოვლად უგუნური, უმგვანო და უსამართლო თხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უფრო დაძაბავს დამოკიდებულებას საქართველოსა და რუსეთის შორის.

ათ წელზე მეტია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელ გზას ადგას, გავიარეთ მძიმე და ეკლიანი გზა, მაგრამ იმას მაინც მივაღწიეთ, რომ საქართველოს გუნდები ატარებენ საკუთარ ჩემპიონატებს და თასისთვის ბრძოლას. ამ ხნის განმავლობაში ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა ჩვენთან მთლიანად შეიცვალა და ევროპულ ყაიდაზე გარდაიქმნა, ჩამოყალიბდა პროფესიონალური კლუბები და, რაც მთავარია, საფეხბურთო ჩემპიონატი გადავიდა ორციკლიან „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემაზე. ქართველ ფეხბურთელებს ტრანსფერის საფუძველზე უცხო ქვეყნების კლუბებში გადასვლის უფლება აქვთ და შეუძლიათ იქ გააგრძელონ თავიანთი გამოსვლები. სწორედ ამის დასტურია ის, რომ ამჟამად ჩვენი საუკეთესო და ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან რუსეთის, ბალტიისპირეთის, გერმანიის, ინგლისის, შოტლანდიის და ა.შ. ქვეყნების საფეხბურთო კლუბებში.

საქართველოს ნაკრები მონაწილეობს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენი ნაკრების შედეგები არასტაბილური და წარუმატებელია. ასევე წარუმატებელია ცალკეული კლუბების გამოსვლები უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის და თასისთვის ბრძოლის მატჩებში.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ და ვფიქრობთ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ქართულ ფეხბურთში ამაღლდება მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, ამაღლდება ფეხბურთელთა ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური მომზადება, საერთო კლასი და პროფესიონალიზმი, რომ მომავალში ჩვენს კლუბებს გამოუჩნდებიან მეცენატები, სპონსორები და მდიდარი მეპატრონეები, რომელთა მატერიალური და მორალური დახმარებით, ფეხბურთისადმი ყურადღების მიქცევით და მისი სახელმწიფო რანგში აყვანით, ადრე „პატარა ურუგვაელებად“ მონათლული ქართველი ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ თავიანთი განუმეორებელი და მიზანსწრაფული თამაშით მსოფლიო ფეხბურთის კოჰორტაში ჩადგნენ და თავიანთი სიტყვა თქვან, რომ უფრო მეტად გააცნონ მთელ სამყაროს საქართველო და მისი ხალხი. მდიდარი მეპატრონეების გასაგონად გვინდა ვთქვათ, რომ მათ მიერ ფეხბურთში დაბანდებული და დახარჯული ფული მათვე უკან ათჯერ და უფრო მეტად დაუბრუნდებათ. ასე იყო და ასეა ამჟამად მსოფლიოს წამყვან კლუბებში, როგორებიც არიან გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების გუნდები...

იმისათვის, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა მეტი სათამაშო პრაქტიკა და სათანადო მომზადება გაიარონ, აიმაღლონ კლასი და მიიღონ გამოცდილება, ჩვენი სუბიექტური აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ დაფუძნდება, ორგანიზება გაუკეთდება და ჩატარდება პოსტსაბჭოური რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებს შორის ოლიმპიური ტურნირი საქართველოს ნაკრების მონაწილეობით. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი წინადადება მისაღები და უპრიანია, რომ ეს საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ უნდა დაისვას და პარიტეტული უფლებებით წინასწარ გაიმართოს საორგანიზაციო საკითხების გარშემო მოლაპარაკებები. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მოიგებს ფეხბურთი და მისი გულშემატკივრები.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ, საქართველოში ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი და როლი ეკუთვნით აფხაზეთში დაბადებულ და გაზრდილ როგორც ქართველ, ისე აფხაზ ფეხბურთელებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ავთანდილ ღოღობერიძეს, ვალტერ სანაიას, ვლადიმერ მარღანიას, იური გრამატიკოპულოს, ანატოლი ნორაკიძეს, იური ვარდიმიადის, ვლადიმერ ბარქაიას, გიორგი სიჭინავას, ნიაზ ძიაპშიპას, ვიტალი დარასელიას, ახრიკ ცვეიბას და სხვებს, რომელთა სრული ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს. სწორედ მათ, თავიანთი პატრიოტიზმით, ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულით და ერთგულებით, დიდი და ნათელი კვალი დატოვეს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში.

ჩვენ მომავლისადმი ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და გვწამს, რომ აღსდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომ სულ მალე მოვა დრო და საქართველოს ფეხბურთში კვლავ გამოჩნდებიან აფხაზეთიდან ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელები, რომ ისინი თავიანთი ოსტატობით და დამახასიათებელი შემართებით ხელს შეუწყობენ საქართველოს ფეხბურთის განვითარებას, ამაღლებას და წინსვლას. გვჯერა, რომ ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით.

**ბურამ ჩხიკვაძე**

**რედაქციისაგან:** ავტორის პათოსი და სურვილები გასაგებია, რასაც ბევრ საკითხში სავსებით ვეთანხმებით, მაგრამ არც 90-იანი წლების დასაწყისში და არც ახლა, სოხუმელთა რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა ცალმხრივად არ უნდა განვიხილოთ. არის ქვეყნები, რომლებსაც თავიანთ პირველობების დებულებაში გათვალისწინებული აქვთ უცხოელთა მონაწილეობა და ამის მაგალითი უამრავია. ამას ტრაგედიად არავინ მიიჩნევს, თუკი ორივე მხარის სურვილთა თანხვედრაა. რეალობაა ასეთი. სოხუმელ ფეხბურთელთა სურვილი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია იმასთან, როცა აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის მოქალაქეობას იღებენ. სხვა თუ არაფერი, ადგებიან და აფხაზეთის ფეხბურთელებსაც რუსეთის მოქალაქეებად გახდიან. აი, როგორ პროცესებთან გვაქვს საქმე. ასე რომ, ვიდრე აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღსდგება, პრობლემები ყოველთვის იქნება, მათ შორის სპორტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატი დაიწყო




მოსკოვში დაიწყო ფიდეს ვერსიით მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. კრემლის ყრილობათა სასახლეში, ასპარეზობა, რომელშიაც მონაწილეობს 128 დიდოსტატი, გახსნა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა. ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ფიდეს რეიტინგით მსოფლიოს უძლიერესმა მოჭადრაკეებმა გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა, რომლებიც ჩემპიონატის დღეებში, მოსკოვშივე ატარებენ საკუთარ ტურნირს, საპრიზო ფონდით — 500 ათასი დოლარი.

ფიდეს ჩემპიონატის ფავორიტებად მიიჩნევენ წინა ჩემპიონს ინდოელ ვიშვანათან ანანდს. აგრეთვე რუსეთელებს ალექსანდრ მოროზოვიჩს, უკრაინელ ვასილი ივანჩუკს და ინგლისელ მაიკლ ადამსს. გარდა ამისა, ამ ასპარეზობაში, რომლის საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია, თამაშობს მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი და საჭადრაკო გვირგვინის მრავალგზის პრეტენდენტი ვიქტორ კორჩნოი.

ტურნირი ტარდება წრიული სისტემით, გაგრძელდება მატჩებით გამოთიშვით და დამთავრდება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ფინალური ორთაბრძოლით. ფინალი კი გაიმართება 16-26 იანვარს.

გაგაცნობთ სასტარტო შეხვედრების რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს. ანანდი — ტუზანის (საფრ) 0:1; ლეკო (უნგრ) — კობეზე (სამხ. აფრ) — 1:0, შიროვი (რუს) — რუზიკი (ალჟ) — 1-0, დრეევი (რუს) — ***სუპატაშვილი*** (საქ) — 0,5:0,5, ***აზმაიფარაშვილი*** (საქ) — იულდაშევი (უზბ) — 1:0, კამპორა (არგენ) — შორტი (დ.ბრ) — 1:0, მადშხამი (ირანი) — გრიშჩუკი (რუს) — 0,5:0,5, პენჩონი (ჩინ) — კარპოვი (რუს) — 0,5:0,5, სვიდლერი (რუს) — ხოფმანი (რუს) — 1:0, ჯანჯული (ინდონეზია) — ხალიფმანი (რუს) — 0,5:0,5, ტოპალოვი (ბულგ) — პიერო (არგ) — 0:1, ივანჩუკი (უკრ) — შოვუნოვი (რუს) — 0,5:0,5, სარჩუ (საფრ) — ადამსი (ინგლ) — 0:1. ***სუპატაშვილმა*** მეორე შეხვედრა წააგო დრეევთან და ასპარეზობას გამოეთიშა. ***აზმაიფარაშვილმა*** კვლავ მოუგო იულდაშევს და უძლიერესებს შემორჩა.

ქალთა ჩემპიონატს გამოეთიშა ***ნონა გაფრინდაშვილი***, ვაჟთაში — ანატოლი კარპოვი.

## სპორტს ორი წლით ჩამოაშორეს



**ასეთი ბედი ეწია რუსეთის მძლეოსანს გერმან სკურიგინს — 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონს 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში. 2 წლით იგი დისკვალიფიცირებულია დოპინგის გამოყენებისთვის. მის ორგანიზმში აღმოაჩინეს გონადროტროპინი, პრეპარატი, რომელიც ზრდის ტესტოსტერონის გამოდევნას. ამრიგად, ორი წლის წინანდელი ტიტული გადადის იტალიელ ივანო ბრუნეტის ხელში, რომელიც სევილიაში მეორე იყო. რუსეთის მძლეოსნობის ფედერაცია დიდი ხანია იკვლევდა ამ საქმეს და ბოლოს მაინც დასაჯა თავისი სპორტსმენი.**

## „ოქროს ლიგა" ხუთ ეტაპამდე შემცირდება

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საბჭომ, რომელიც შეიკრიბა მონაკოში, გადაწყვიტა 2003 წლიდან მოყოლებული „ოქროს ლიგა" შეამციროს ხუთ ეტაპამდე. მონაკო ფინალს უმასპინძლებს ზედიზედ სამი წლის მანძილზე. ახლანდელი წესით „ოქროს ლიგა" 7 ტურნირს მოიცავს. ლიგა 1998 წელს შეიქმნა. მონაკო გრან-პრის ჩაატარებს 2003-2005 წლებში. „ოქროს ლიგის" შეკვეცის გამო ერთ-ერთმა ქალაქმა ექვსიდან (რომი, ოსლო, ბრიუსელი, პარიზი, ციურიხი, ბერლინი) უარი უნდა განაცხადოს ეტაპის ჩატარებაზე. ამბობენ, რომ ეს იქნება რომი, მაგრამ იტალიელებმა უმალვე უარყვეს გავრცელებული ხმა.

# ახალი მსოფლიო რეკორდი



ამერიკელმა მოცურავემ ნატალი კოფლინმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.03,62 წ. აჩვენა, რაც ახალი მსოფლიო მიღწევაა „მოკლე წყალზე". რეკორდი დამყარდა ნიუ-იორკში, ცურვაში მსოფლიო თასის გათამაშების მესამე ეტაპზე. ადრინდელი მიღწევა ეკუთვნოდა ჩინელ სიხან ხეს — 3.06,09 და 1993 წლით იყო დათარიღებული.

## და კიდევ რეკორდი



სენსაციური რეკორდი დაამყარა ფრანგმა ერიკ ბარონმა მთიდან ველოსიპედით დაშვებაში. მოქმედი ვულკანის სერო-ნეგროს ერთ-ერთი ფერდობიდან, ნიკარაგუაში იგი დაეშვა 130 კმ სიჩქარით საათში. 41 წლის „ექსტრემალმა" თავისივე რეკორდი (118 კმ/სთ) გააუმჯობესა. მაშინ, 1999 წელს რეკორდი მან ჰავაის კუნძულებზე დააფიქსირა.

## გორან ივანიშევიჩი ხორვატიის არმიაში



**ცნობილი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი გამოცხადდა ქალაქ სპლიტის სამხედრო ნაწილის განკარგულებაში, სადაც ის ექვსთვიან სამსახურს გაივლის ხორვატიის შეიარაღებულ ძალებში. 30 წლის სპორტსმენს შესაძლებლობა ექნება გამოვიდეს საჩოგბურთო ტურნირებში, სხვა დროს კი მისი სამსახური არაფრით არ იქნება განსხვავებული იმათგან, რასაც ეწევა ხორვატიის ყველა მამაკაცი გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ არმიაში.**

**„იმედი მაქვს არ მაჩხუბებენ, სროლითაც უხეიროდ ვისვრი – სამ მეტრში სპილოს ვერ მოვარტყამ" – განუცხადა ჟურნალისტს სამხედრო ბაზის შესასვლელთან, ყოველთვის ხუმრობის მოყვარულმა ჩოგბურთელმა.**

**გორან ივანიშევიჩი სპეციალურ სპორტულ როტაშ.ა, სადაც კიდევ რ:მდენიმე ოლიმპიელი იხდის სამხედრო ვალდებულებას.**



## ცზიუ ტიტულის დაცვას აპირებს

პირველ ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, პროფესიონალი მოკრივე, რუსეთელი კონსტანტინ ცზიუ აპირებს დაიწყოს თავისი ტიტულების დაცვა იბფ-ს ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის სახელის მოსაპოვებლად. ეს ტიტული მან არც თუ დიდი ხანია, რაც ამერიკელ ზაბა ჯუდის ჩამოართვა, თანაც ნოკაუტით. გაისად, მარტში (სავარაუდოდ 23-ში) ცზიუ იბრძოლებს იბფ-ს ვერსიით მასთან, ვინც რეიტინგით №1 იქნება. რუსეთელთან შესახვედრად ერთმანეთში იჩხუბებენ ტედი რეიდი და ბენ ტაკი, რომლებიც დღეს შესაბამისად რეიტინგში მეოთხე და მესამე ადგილზე არიან. სერიოზული მზადების დაწყებას მომავალი წლის შეხვედრებისთვის, ცზიუ იანვრიდან აპირებს.

## დევისის თასი

დღეს იწყება დევისის თასის ფინალური შეხვედრა – ერთმანეთს ხვდებიან ავსტრალიისა და საფრანგეთის ნაკრებები. პირველ დღეს ითამაშებენ: ლეიტონ ჰიუიტი – ნიკოლია ესკუდე, პატრიკ რაფტერი – სებასტიან გროჟანი.



# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**30 ნოემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40), ***EUROSPORT.*** სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (11.30, 21.00, 22.00), ცხენოსნობა. დაბრკოლებათა გადალახვა (13.00), ფეხბურთი: აზიის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (14.00), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (14.30), ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.30), სუმო, სუმოს დიდი ტურნირი (16.30, 17.30), სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (18.30, 23.30), ფეხბურთი: ერთი მსოფლიო – ერთი ჩემპიონატი (20.00), მსოფლიო ჩემპიონატის წინა სამზადისი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ფეხბურთი (14.30), იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (15.00, 17.15, 19.15, 22.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასი (11.45, 0.15), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (17.05), ტაილანდური კრივი (18.05).

**1 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის რეპორტაჟი სამხრეთ კორეადან (13.55), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***EUROSPORT.*** სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (18.30, 22.00, 23.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (3.45). ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (14.00, 20.50), ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერ იუნაიტედი" – „ჩელსი" (15.55), გერმანიის ჩემპიონატი, პირდაპირი (18.25), იტალიის ჩემპიონატი (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასი (11.45), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (20.25), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფიდე (23.00), ტაილანდური კრივი (1.15).

**2 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.10), ***EUROSPORT.*** სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (11.30, 20.00, 23.00), ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფიფა-2002 (18.45), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.20), იტალიის ჩემპიონატი (15.10), ინგლისის ჩემპიონატი: „ფულხემი" – „ლიდსი", პირდაპირი (17.55), მსოფლიო ფეხბურთი (19.55), გერმანიის ჩემპიონატი, პირდაპირი (20.25), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.35), იტალიის ჩემპიონატი (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასი (11.45), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი, ფიდე (17.15, 21.00), კატერებით რბოლა, მსოფლიო ჩემპიონატი (20.30), სოლტ-ლეიკ-სიტის გზები (23.00), კრივი. პროფესიონალთა ბრძოლები (23.45).

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე სამსახურის ბუღალტერს ეველინა კოსტავას მეუღლის**

**იური კოსტავას**

**გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტსკოლა და პირადად სკოლის დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა სამძიმარს უცხადებენ ამავე სამსახურის ბუღალტერს ეველინა კოსტავას მეუღლის**

**იური კოსტავას**

**გარდაცვალების გამო.**

# კროსვორდი №94



**თარაზულად:** 1. მძლეოსნათა სატყორცნი იარაღი, 7. თბილისის „დინამოს" პირველი თაობის ფეხბურთელი, 8. ინგლისელი ფეხბურთელი, 9. ცურვის ყაიდა, 10. მატჩის ერთი ნახევარი, 12. ვეტერანი ქართველი ვაჟი ტანმოვარჯიშე, 13. შეტევა ანუ... 15. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 18. ერთგვარი თამაშობა ხის ბურთით, 19. ფეხბურთელი, საფრ. ნაკრების ყოფილი მეკარე, 20. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 21. გაფრთხილება ძიუდოში.

**შვეულად:** 1. „ბაიერნის" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი, 2. საქართველოს ყოფილი საფეხბ. კლუბი, 3. ცნობილი ავტომრბოლი („ფორმულა-1") 4. „ნანტის" ფეხბურთელი, 5. ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ძალოსნობაში, 6. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 10. ინგლისის საფეხ. კლუბი, 11. ჩილელი ვეტერანი ფეხბურთელი, 14. პოლონეთის საფეხბ. კლუბი, 16. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 17. რუმინელი საფეხბ. მწვრთნელი.

## კროსვორდი №93-ის პასუხები

**თარაზულად:** 1. ფიცარნაგი, 5. დიდა, 7. მეტრეველი, 8. ბილიკი, 9. კრესპო, 10. „ნიცა", 13. ატაცი, 14. ხარშილაძე, 17. ფეი, 18. „ზარია", 19. „ბრაგა", 20. ტირი, 21. „ბოლონია".
**შვეულად:** 2. იპონი, 3. აზმაიფარაშვილი, 4. გიტი, 5. დევენპორტი, 6. დალმა, 11. გუცაევი, 12. „ბავარია", 15. ძურილა, 16. იგენი.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. კf1! 1. ...მფe4 2. ლg5 მფf3 3. ლf4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, შ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.